

K 39.684
3

თ ე კ ა

საქართველო

1970

№4



კესელან ნიქოლაძე

დაუვიწყარი
დღეები
და წუთები



საპ. კვ ცკ-ის გამომცემლობა
19 თბილისი 70



რუსუდან ნიკოლბეძე

დაუპიწყარი ღღეები და ფუთები

K 139.684
3



საქართველოს კვ ცკ-ის გამომცემლობა

19 თბილისი 70

3K26(003)

3 K 26

3 8 26

5 636

ლონინი, ვ.ი.

მოკვანაძე



საქართველოს
ენციკლოპედია
საქართველოს
ენციკლოპედია

სპეც-2000
ქართული ენციკლოპედია

6483:1

20 სტ.

1531

წინასიტყვაობა

მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, პროფესორ რუსუ-
დან ნიკოლაძის მოგონებები ლენინზე — ქართული ლენინი-
ანას ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს და უძვირფასეს დოკუ-
მენტს წარმოადგენს. ოჯახი, სადაც დაიბადა და აღიზარდა
რუსუდან ნიკოლაძე, იყო ქართული კულტურის დიდი კერა.
ამ ოჯახმა უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა საერთოდ
განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიაში. რუსუდანის
მამა, ნიკო ნიკოლაძე, სახელოვანი მწერალი და მოღვაწე,
იყო ერთი მათგანი, ვინც მე-19 საუკუნის სამოციან წლებში,
ილია ქავჭავაძესა და აკაკი წერეთელთან ერთად, გზა გაუ-
კვალა ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელ
მოძრაობას, იყო ამ მოძრაობის ერთი ბურჯთაგანი, მჭადაგე-
ბელი მოწინავე იდეებისა და მებრძოლი ხალხის ნათელი მო-
მავლისათვის. ამასთან, ნიკო ნიკოლაძე მხარში ედგა რუსული
რევოლუციური აზრის მედროშეებს — გერცენსა და ჩერ-
ნიშევსკის. ნ. ნიკოლაძის მოღვაწეობას დიდი საერთაშორისო
ასპარეზი ჰქონდა; საზღვარგარეთ ყოფნისას ნიკოლაძე ლონ-
დონში პირადად გაეცნო მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდე-
ბელს — კარლ მარქსს. ფრანგულ ენაზე გამოქვეყნებული
ნიკოლაძის წიგნი „დეკადანსის პრესა“ იყო გაბედული რე-
ვოლუციური ნაბიჯი, რომელმაც ცოცხალი გამოხმაურება
ჰპოვა არა მარტო საფრანგეთში, არამედ მთელ მსოფლიო-
ში. ლეი ბლანი ამ წიგნის გამო ნიკოლაძეს წერდა: „თქვენი
წიგნი ერთი იმ ნაშრომთაგანია, რომელიც ყველა ფრანგმა
ეურნალისტმა უნდა წაიკითხოს და ღრმად ჩაუფიქრდეს მას“.
ამ წიგნში სახელოვანი ქართველი პუბლიცისტი თავს ესხ-
მოდა რეაქციის ძალებს, რომლებიც ზემოზნდნენ პარიზის
კომუნის დამარცხების გამო.

ნიკო ნიკოლაძის მეუღლე — თოლა გურამიშვილი იყო დი-
დად განათლებული ქალი, მოწინავე ადამიანი. უახლოესი
თანამებრძოლი რუსი და ქართველი რევოლუციონერებისა.
სხვათა შორის, აღსანიშნავია, რომ გივი ესწრებოდა პირველი
ინტერნაციონალის შვეიცარული სექციის სხდომებს; ასეთმა
მოწინავე ოჯახმა სამშობლოს აღუზარდა მართლაც ღირსეუ-
ლი შვილები: პროფესორი გიორგი ნიკოლაძე, დოკტორი თა-
მარ ნიკოლაძე და პროფესორი რუსუდან ნიკოლაძე; ოჯახში
თავიდანვე ტრადიციად ჰქონდათ, ჩაეწერათ დღიურში, რაც
საინტერესო და მნიშვნელოვანი ხდებოდა მათს თვალწინ.
ახალგაზრდა ნიკოლაძეები მუდამ იცავდნენ ამ ტრადი-
ციას.

ამ ძველი დღიურების საფუძველზე რუსუდან ნიკოლაძემ
წარსულის არაერთი ღირსშესანიშნავი ფურცელი აღადგინა.

ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის, ჟურნალ „ღმრთის“ რედაქციის თხოვნით მან დაწერა მოგონებები ლენინთან შეხვედრებზე როგორც ქენევაში, ისე პეტროგრადში. ეს მოგონებები შეუქს ჰენენ ჩვენი ხალხის რევოლუციური წარსულის არაერთ სანტერესო ეპიზოდს. ავტორი მოგვითხრობს უბრალოდ, სადაც, და მის ჩანაწერებში მუდამ იგრძნობა დიდი სითბო და სიყვარული ხალხისადმი, იმ ადამიანებისადმი, ვინც ამ ხალხისათვის საკუთარ სიცოცხლეს სწირავდა. კითხულობთ ფურცლებს, სადაც აღწერილია შეხვედრები ლენინთან ქენევასა და პეტროგრადში და თქვენს თვალწინ ცოცხალი ილიჩი წარმოსდგება, დაუცხრომელი პოლემისტი, ქეშმარიტებისა და სიმართლის დაუძლეველი ქომადგი, ხალხთა მასების ბრძენი ბელადი. აქვე ვხედავთ მის თანამებრძოლებს; ავტორი მოგვითხრობს მთელ გარემოზე, წყმარ, მყუდრო ქენევასა და შფოთიან პეტროგრადზე, სადაც დაირწაოქტომბრის აკვანი.

რუსუდან ნიკოლაძის მოგონებებს ჩვენი მკითხველი ღრმა ინტერესით წაიკითხავს.

3. ნატროზვილი

1905 წელი და ენევა; 1917 წელი და ნევის ნაპირები. ე. ი. თებერვალ-ოქტომბრის პეტროგრადი, რომელიც ისტორიული აუცილებლობით სულ მალე ლენინის ქალაქად უნდა გადაქცეულიყო. ორივე ეს უძვირფასესი თარიღი სამუდამოდ არის შთაბეჭდილი იმ დაუვიწყარი დღეებისა და წუთების ბედნიერ მომსწრეთა გულეში, მათ შორის ჩემსაშიც.

ეს იყო დღეები და წუთები, როცა ჩვენ ახლოდან ვხედავდით და პირადად ვუსმენდით ლენინს რუსეთის ჯერ პირველი, შემდეგ მეორე რევოლუციის დიად წლებში.

შ ე ნ ე ვ ა

ენევა სრულიად განსაკუთრებული ადგილია ჩვენს პლანეტაზე: წარსულში მუდამ მდუღარე საფრანგეთისა და მტკიცედ ნეიტრალური შვეიცარიის თითქმის საზღვარზე მოქცეული, ის თავისთავადაც, საფრანგეთივით „ნაპერწყლიანი“ კუთხე იყო. თავისი ღრმად მშვიდობიანი, ტურისტებით სავსე ქვეყნისა; საერთოდაც, როგორც ამ მრავალეროვნული სახელმწიფოს ფრანგული ნაწილის მთავარი პოლიტიკურ-კულტურული ცენტრი. ენევა, ოქტომბრის რევოლუციამდე, გადაქცეული იყო პარიზივით დიდი მნიშვნელობის საერთაშორისო კერად, სადაც ჩვენი ნახევარსფეროს მრავალი საბრძოლო საკითხი წყდებოდა. ამიტომ ამ ქალაქს მეტწილად „პატარა პარიზს“ უწოდებდნენ.

პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ენევა ცნობილი „ერთა ლიგის“ რეზიდენცია იყო, ყველა მისი წალმართი და უკუღმარ-

თი საქმეებით. ახლა იქ მოთავსებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ევროპის განყოფილება, თავისი დიდებული „ეროვნებათა სასახლით“ ტბის პირად. იქვეა აგებული (ცოტა სიღრმეში) ატომგულური ფიზიკის საერთაშორისო ცენტრიც, რომელსაც „ცერნი“ ეწოდება.

რევოლუციის საქმისათვის ხელის შეწყობის თვალსაზრისით ჟენევის როლი წარსულში ფრიად დიდი იყო. ამიტომ არის ესოდენ მდიდარი მისი პოლიტიკურ-საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორია; უფრო აღრინდელი ეპოქებიდან ჟენევას ახსოვს ფანატიზმამდე მისული რელიგიური ბრძოლები, ჯერ საფრანგეთიდან გადმოსული კალვინის მიერ აქ დამყარებული დიქტატურის სახით, მისი კალვინიზმით და ადამიანების კოცონზე აყვანით. შემდეგ კი, პირიქით, 1848 წლის გერმანიიდან ქენევაში ემიგრირებული კარლ ფოგტის (1817—1895) მიერ ათეიზმის ქადაგება მის ვულგარულ მატერიალიზმთან ერთად, 1873 წლიდან უნივერსიტეტად გადაკეთებულ კალვინისტურ აკადემიაში. ყოველივე ეს კიდევ უფრო აცხოველებდა ქენევის ატმოსფეროს; პოლიტიკური ცხოვრება განსაკუთრებით ინტენსიური იყო აქ წარსული საუკუნის მეორე ნახევრიდან.

ლონდონიდან აქ გადმოვიდა გერცენი თავისი „კოლოკოლით“; პარიზიდან — მისი კომუნის ემიგრაცია; რუსეთიდან — ხალხოსნები (მოროზოვი, ტაჩოვი) თავიანთი არალეგალური გამოცემების რედაქციებით. აქვე ჩატარდა 1866 წელს პირველი ინტერნაციონალის პირველი კონგრესი (მას მამაჩემიც დაესწრო) და დაარსდა ინტერნაციონალის შვეიცარული სექცია, რომლის ღია სხდომებს, ნიკოლოზ მოროზოვთან ერთად, თავისი სტუდენტობის დროს ესწრებოდა დედაჩემიც. აქვე გვერდით, ლოზანაში, 1867 წელს მოეწყო ომის საწინააღმდეგო კონგრესი, რომელმაც გერცენისდროინდელ ქენევაშიც დიდი გაცხოველება და დისკუსიები გამოიწვია.

ასევე აქ, ან, საერთოდ, ქენევის ტბის სანაპიროებზე (ლოზანა, მონტრე, შილიონი) თავს იყრიან ჯერ ბაკუნინი და ანარქისტები, მერე სოციალ-დემოკრატები და ესერებიც; ყველაზე მთავარი კი ის არის, რომ 1903 წლიდან აქ გადმოიტანა ლონდონიდან თავისი „ისკრა“ ლენინმა, რომელიც უკვე 1895 წლიდან იცნობს ამ ქალაქს. და ახლა აქ გადმოაქვს მას თავისი

მოდგაწეობის საყრდენი ცენტრი. ორ წელზე მეტი გაატარა
ლენინმა ამ ჩამოსვლაზე ქენევაში (1903—1905). და ამან გვარ-
გუნა მე და ჩემ ძმას, გიორგი ნიკოლაძეს ბედნიერება მოუტანა
ორი თვე გაგვეტარებინა მის სიახლოვეს, თითქმის ყოველდ-
ღიურ სხდომებზე ქენევის ე. წ. არვის ნაწილში, სადაც მუშე-
ბის უბანია მოთავსებული, ცოტა მოშორებით ტბიდან.

საერთოდ ქენევა, არა მარტო შვეიცარიის, არამედ მთელი ევ-
როპის ერთ-ერთი ულამაზესი ქალაქია, გაშლილი ალპებიდან
მომდინარე მდინარე რონით გაჩენილ ლაჟვარდოვანი ტბის
ქვედა ბოლოს ორივე ნაპირზე და ამავე ტბიდან გამომდინა-
რე, ასევე ცისფერ რონაზე, რომელიც საფრანგეთის გადავლით
განაგრძობს თავის გზას ხმელთაშუა ზღვისაკენ. რამდენიმე ხი-
დის შემდეგ, მუშათა უბანში, რონას მარცხნიდან ერთვის მთე-
ბიდან დაქანებული, ძლიერ მღვრიე არვა, რომელიც რონასაც
ამღვრევს. ამის მიხედვით, ქალაქი ორ ნაწილად იყოფა: „ცი-
სფერ“ (მორთულ, მდიდრულ) და „რუხ ქენევად“ (მუშათა ლა-
რიბული უბანი).

ლენინი (რა თქმა უნდა, პრინციპულად) ქალაქის „რუხ“ ნა-
წილში ცხოვრობდა, არვის მახლობლად. სხდომებიც აქვე ახ-
ლოს ტარდებოდა, სპეციალურად ამ მიზნისათვის შერჩეულ
წყნარ, კარგად მომარჯვებულ კაფეში, პროსპექტზე, რომელიც
გადაჰყვებოდა „რუხ ქენევას“ და „კარუჟის გზად“ წოდებუ-
ლი, მიემართებოდა ქალაქის გარეთ.

დედაჩემს და მამაჩემს ძალიან უყვარდათ ქენევა, თავიანთი
სტუდენტობის დროიდან, ე. ი. მამას 1865—1868, დედას კი
1873—1876 წლებიდან. ამიტომ, როცა მათ ჩვენი წაყვანაც
დაიწყეს ზაფხულობით საზღვარგარეთ, 1900 წლის პარიზის
მსოფლიო გამოფენით დაწყებული, არ შეიძლებოდა ჩვენი
მოგზაურობის მარშრუტში ქენევა არ შესულიყო, ან დასაწყის-
ში, ან ბოლოს.

ასე მოხდა 1905 წელსაც. ფოთის საქმეებზე მამაჩემის პეტერ-
ბურგში გამოძახების გამო, დედამ არჩია, მის ჩამოსვლამდე
ჩვენს საყვარელ ქენევაში დავბინავებულიყავით; გზაში, ბერ-
ლინის სადგურზე გავიგეთ ცუსიმას კატასტროფის ამბავი, რო-
მელსაც გერმანელები ერთმანეთს აღდგომასავით ულოცავდ-

ნენ (დღის ექვს საათზე), როგორც ჩანს, განზრახ რუსეთ-
შვეიცარიის მატარებლის წინ...

ქენევაში ჩასვლისას თავი, ჩვეულებისამებრ, თითქოს შინ ვივარდნი-
ქნით, რადგან აქ როგორც ფოკუსში, უფრო მწკვიველ იგრძნობა
ნობოდა ცხრა იანვრიდან რუსეთში ჩასახული და გაზაფხული-
დან თანდათან მზარდი ხანძრის ძალა და გაქანება.

ჩემს დედ-მამას თავიანთი სწავლის წლებიდან შემორჩენოდათ
თბილი მეგობრობა ლევ მეჩნიკოვის დაობლებულ ოჯახთან,
სადაც ძველებურად ცოცხლად იგრძნობოდა ქენევაში ჩამო-
სულ თავისუფლებისათვის მებრძოლ ადამიანთა სულისკვეთე-
ბა. ეს განსაკუთრებით იმ ზაფხულზე ითქმის. მაშინ ქენევაში
რუსეთიდან ჩამოსულ აუარებელ ხალხს მოეყარა თავი. ყოველ
პარტიას საპროგრამო მოხსენებებისა და დისკუსიებისათვის,
თავთავისი დღეები ჰქონდა დანიშნული. ესერებს ხუთშაბათი
ჰქონდათ აღებული. ჩვენ რომ ჩავედით, ვიქტორ ჩერნოვი ის
იყო იწყებდა თავისი პარტიის აგრარული პროგრამის გამაშუ-
ქებელ მოხსენებათა სერიას. პლენანოვს, საკუთარ ბინაზე, პა-
რასკევი ჰქონდა მიღების დღედ დანიშნული; „ისკრელებს“,
ე. ი. „ისკრას“ უკვე არალენინურ რედაქციას — სამშაბათი
და ა. შ.

ამას გარდა, იმ ზაფხულს ქენევაში ახალი პოლიტიკური კერა
დაგვხვდა, დღისით მოქმედი. ეს იყო „ისკრას“ სტამბა, სადაც
რუსეთიდან მოსული რაიმე მნიშვნელოვანი ცნობის შეტყობა
იწვევდა დაინტერესებულ პირთა მოზღვავებას. იწყებოდა
სხვადასხვა მიმართულების ადამიანებს შორის აზრთა გაცვლა-
გამოცვლა, საინტერესო დისკუსიები; ისე, რომ, მე და გიორ-
გიმ იქ დავიწყეთ დილაობით სიარული, პროფესორ კერმანის
ქიმიის ლაბორატორიის ნაცვლად, სადაც მე უნდა იმ ზაფხულს
მემუშავა პეტერბურგში მიღებულ თემაზე.

სულ მალე ქენევაში გიორგის გაუჩნდა მასწავლებელი — „ის-
კრას“ ასოთამწყობი და მგზნებარე ბოლშევიკ-ლენინელი დალ-
მატ გალდავა, დაახლოებით ოცდაორი-ოცდასამი წლის ახალ-
გაზრდა, ძალიან გატაცებული ბეჭდვითი საქმით. პირველივე
ჩვენს მისვლაზე სტამბაში ის ჩვენ გაგვეცნო, სწრაფად დავვი-
მეგობრდა და დაიწყო გიორგისათვის ასოთამწყობის ხელობის
სწავლება.

ლენინმა რომ მიატოვა „ისკრას“ რედაქცია 1903 წლის ოქტომბერში, მის მუშებსაც მოუნდომებიათ სხვა სტამბაში გადასვლა. მაგრამ ლენინს ისინი იქ დაუტოვებია: მე აქ სახლო ხალხი მჭირდება, არსად წახვიდეთო. და, მართლაც, არასწყვეტლათ მათთან კავშირს და მარტო მათ ანდობდა თავის შეკვეთებს. დიდი ალტაცებით გვიყვებოდა დალმატი ყოველ წვრილმანს თავის დიდებულ და სათაყვანო მასწავლებელზე. ჩვენ კი ის ჯერ არცერთხელ არ გვენახა.

საბედნიეროდ, ეს მდგომარეობა ძალიან მალე შეიცვალა: თუ არ ვცდები, ვიქტორ ჩერნოვის უკვე მეორე ხუთშაბათობაზე, როცა ის განმარტავდა თავისი პარტიის აგრარულ პროგრამას, მე და გიორგისაც გვეღირსა ცოცხალი ლენინის ხილვა. და, მასაღამე, მოსმენაც. და როგორი მოსმენა!

ჩერნოვს ახლად დაწყებული ჰქონდა თავისი მოხსენება, როცა გაისმა ჩვენს უკან ჩურჩული: ლენინი მოვიდა, ლენინი... იმწამსვე კარისკენ ვიბრუნეთ პირი და დავინახეთ ტანმორჩილი კაცი, ძლიერ გაბრწყინებული თვალებით და მხიარულად გაღიმებული სახით.

ვიღაცეები წამოდგნენ, მისთვის ადგილის დასათმობად, მაგრამ მან თითებით და თავის უარყოფითი ქნევით ანიშნა — ნუ სწუხდებით, გამდლობთო. და იქვე, კართან ახლო დაეშვა პირველსავე თავისუფალ სკამზე, დაეშვა, სმენად იქცა და, ჩვენში რომ იტყვიან, იმერეთში, „წაუხდა საქციელი“ მომხსენებელს: წამიერ შეჩერდა, თვალები მიაპყრო შემოსულს, და იქნება ეს ჩემი ფანტაზია იყოს, მაგრამ არა მგონია: სულ შეეცვალა მომხსენებელს ტონი. ლენინის გამოცხადების ეს ეფექტი იმ ზაფხულს სხვა გამოსვლების დროსაც ვიგრძენით — „ალომბს უნახევრებდა“ მისი დანახვა იმ ტიპის სიტყვამრავალ ორატორებს, რომელთაც ჩერნოვიც ეკუთვნოდა.

დაამთავრა მომხსენებელმა თავისი მოხსენება. ლენინი ჯერ სდუმდა. სხვებს დააცალა, „ახალ ისკრელებს“ და ანარქისტებს, ჩერნოვთან გამოკამათება (და საკმაოდ მაგარი გამოკამათებაც, როგორც მაშინ გვეჩვენებოდა). მაგრამ როცა მან ითხოვა სიტყვა და მართლაც ვეფხვივით ერთი ნახტომით გაჩნდა მომხსენებლის გვერდით, თავისი აზრის გამოსათქმელად, მაშინ კი ნა-

თლად ვიგრძენით, რა ბუმბერაზი აღიმართა ჩვენს წინაშე ამ მოკამათის სახით.

„ქონდრისკაცებად“ იქცნენ მის გვერდით ჩვენს თვალში უსუ-
რებთან მეზობლი „ლომები“ (მარტოვი, მარტინოვი, ინაკლი-
და მიხაკო წერეთლები, კომანდო გოგელია). მათივე განცხა-
დებით, „ორივე ბექზე“ დააწვინა ახლად მოსულმა თვით მომ-
ხსენებელიც და ყოველი მათგანიც — „На обе шопатки уло-
жил нас с вами сегодня Ильич“, — ასე გამოეთხოვა ღიმი-
ლით ჩერნოვს მარტოვი. რაზედაც ჩერნოვმა უღიმილად მიუ-
გო: — Н-да, пожалуй.

მას აქეთ აბა რა გაგვაცდენინებდა ან გიორგის ან მე რომელიმე
ემიგრანტულ შეკრებას, სადაც ლენინის დასწრებაც იყო მო-
სალოდნელი! და, ვინაიდან ასევე იქცეოდნენ ჩვენი თანამე-
მამულენიც, ლენინმა მალე ყურადღება მოაქცია ჩვენს ფრთას
და გამოლაპარაკება დაგვიწყო სხლომების შემდეგ. მათ შორის
მე და გიორგისაც, რის გამოც ჩვენ, ცხადია, ბედნიერებისაგან
მეშვიდე ცაზე ვგრძნობდით თავს. ის კი თავისთვის იღიმებო-
და, მისებური, ნათელი ღიმილით, და ყველას, თავისი აზრების
გატაცებულ მიმდევრებად გვაქცევდა, ვინც უკვე რომელიმე
პარტიაში არ იყო „ჩაჭერილი“ მისივე მხიარული გამო-
თქმით.

საინტერესოა, მე და გიორგი როგორ მოვხვდით ლენინის ხედ-
ვის არეში; ეს მოხდა „ისკრას“ სტამბაში, ჩერნოვის ზემოხსე-
ნებული ხუთშაბათის მეორე თუ მესამე დღეს. გალდავას კუთ-
ხეში ვიმყოფებოდით, ასოთაწყობის გაკვეთილზე, უეცრად
დარბაზში ლენინი შემოვიდა, მისებური სწრაფი ნაბიჯით და
პირდაპირ გალდავასთან მივიდა, ჩანს, რაღაცის სათქმელად.
მაგრამ დაზვასთან გიორგი რომ დაინახა, მერე მე (უსაქმოდ
ვიდექი), მის ცოცხალ და ძლიერ მეტყველ სახეზე გაკვირვება
აღიბეჭდა: — ამათ რა უნდა ჩვენს სტამბაშიო? — უსიტყვოდ
შეეკითხა იგი თვალებით გალდავას. დაღმატმა ძლიერ მოსწრე-
ბულად, ჩვენს სასარგებლოდ გამოიყენა ეს მუხჯი შეკითხვა.
მან წარუდგინა მას გიორგი, როგორც თბილისიდან საზაფხუ-
ლოდ ჩამოსული გიმნაზიელი და დაუმატა, რომ იგი აქ, იმავე
სტამბაში სწავლობდა ასოთაწყობას, სადაც მამამისი „კოლო-
კოლის“ ფურცლებს აწყობდაო.

Фамилия? — მოკლედ იკითხა ლენინმა. — Николадзе. — მღელვარე აქანკალებული ხმით უპასუხა გიორგიმ. — Издатель „Обзора“? — იმწამსვე შეეკითხა ლენინი. და ამან ისე გაგვაოცა, რომ მეც ჩავერეი მათ საუბარში და ორივემ ერთხმად წამოვიძახეთ გოცებით, თითქმის ერთი და იმავე სიტყვებით: — Откуда вы знаете?! ჩვენმა გოცებამ ის გაამხიარულა. მან გულიანად გაიცინა, ორივეს ხელი ჩამოგვართვა (მისებურად მაგრად) და თან, თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა: Не зная прошлого, нельзя овладеть будущим, да! თქვა და სამივეს მხიარულად გადმოგვხედა. და უეცრად შეგვეკითხა მე და გიორგის: — А вы знаете, что мы здесь книжку одну издали не так давно, куда и эта ваша газета попала из Грузии? И очень почетно попала (პლენხანოვის დაწერილი ყოფილა ის თავი).

როგორც გამოირკვა, ეს იყო 1898 წელს აქ გამოცემული წიგნი «Материалы для характеристики положения русской печати». Выпуск I.

ლენინმა იქვე ბარათი მოგვცა ყენევის ცენტრალური კომიტეტის სახელზე, რომ იქ ეს წიგნი ჩვენთვის ეჩვენებინათ. ბარათი წავიღეთ, წიგნი გვიჩვენეს, ის თავი იქვე წაგვაკითხეს. შინ რომ მოვედით (ჩვენს პანსიონში) დედასთვის ამ ამბის სახარებლად და მამასთვის პეტერბურგში მისაწერად, დედამ ღიმილით გვითხრა, რომ მამას თურმე უკვე დიდი ხანია შინა აქვს ეს წიგნი გადამალული. და მას მეც კარგად ვიცნობო. ახლა, რაკი ასე დაგაინტერესათ ამ ძლიერ სასარგებლო გამოცემებმა, მამა წაგაკითხებთ იმ წიგნს, თუმცა ეს არალეგალური გამოცემაა რუსეთის იმპერიისათვის და ამიტომ ამაზე გიმნაზიაში ლაპარაკი არ შეიძლებაო. დიდი ინტერესით შევიტყვევეთ დედასგან, რომ ასეთი გამოცემები მამას ყველა ჰქონია შინ, მისი გონებამახვილური გამოგონების წყალობით: ლონდონში მან თურმე შეუკვეთა ძვირფასი, სქელი ტყავის ორმაგძირიანი ჩემოდანი და მიართვა ინჟინერ ბუნგეს. მილიონერი ბუნგე იყო სამშენებლო ფირმა „ბუნგე და პალაშკოვსკის“ ერთ-ერთი მეპატრონე (ამ ფირმამ ააგო მრავალი რკინიგზა და შავი ზღვის ყველა ნავსადგური). ბუნგე და პალაშკოვსკი მამას დიდი მეგობრები იყვნენ, ის კი მათი მთავარი კონ-

სულტანტი იყო მათ წამოწყებათა იურიდიული მხარის „სტრუ-
ქიანი შემთხვევების“ მოგვარების დროს („სტრიკმენტერი“,
როგორც აკაკი ამბობდა ხუმრობით). ამიტომ აქაც, ამ ჩემოდან-
ნის მირთმევისას, მამას პირობად დაუსვამს, იმ ~~ორმავლი~~ ^{ორმავლი} ~~მირთმე~~
რუსულ-ქართული საზღვარგარეთული არალეგალური გამო-
ცემების შემოტანა. გასაგებია, რომ ბუნგეს, „ნორდ-ექსპრეს-
სის“ პირველი კლასის კუბეში, საზღვარზე ვერავინ გაუბედავ-
და ჩემოდნების ჩხრეკას. დახედავდნენ ჟანდარმები პატრონის
მიერ გახსნილ ყუთს, რამე შეკითხვას მისცემდნენ და მომდევ-
ნო კუბეს მიაშურებდნენ...

ზემოხსენებული წიგნიც, ამავე ჩემოდნით შემოტანილ მრავალ
სხვა გამოცემასთან ერთად, მამაჩემის არქივში ინახება საჯა-
რო ბიბლიოთეკაში.

როგორც ჩანს, გალდავა კიდევ ერთხელ ესაუბრა ლენინს ჩვენი
შესახებ, რადგან ერთ-ერთი დისკუსიის შემდეგ, იმავე „კა-
რუჟის კაფეში“ ლენინმა მოულოდნელად მომმართა: — დე-
დათქვენი თურმე, კარლ ფოგტის მოწაფე ყოფილა აქ. საინ-
ტერესოა, როგორ ჰქონდა მას თავისი კურსი დაყენებულიო?
მას შემდეგ, ყოველი დისკუსიის შემდგომ, ის უსათუოდ. რა-
მეს გამოგვეკითხავდა საქართველოზე, ან საზღვარგარეთთან თუ
რუსეთთან ჩვენი კავშირის თაობაზე. ლენინი მოგვმართავდა
ჩვენ ოთხს: ჩემს მამიდაშვილს ირაკლი წერეთელს, მის მე-
გობარს ლეო ნათაძეს, მე და გიორგის. ხოლო ანარქისტე-
ბი — კომანდო გოგელია და მიხაკო წერეთელი მას არ ეკა-
რებოდნენ. საქართველოზე გვეკითხებოდა ათას რამეს; მან
კარგად იცოდა, თუ როგორ დაახლოებული იყვნენ თავის დრო-
ზე პეტერბურგელი ქართველი სტუდენტები ჩერნიშევსკის-
თან. და ბევრი რამ სხვაც. ბევრს კი ახლა გამოგვეკითხავდა,
ცოცხალი ინტერესით. მაგალითად, როგორ გვასწავლიდნენ
ახლა. „ახალ საუკუნეში“ ისტორიას, ცალკე ვაყების, ცალკე
ქალების სასწავლებლებში, წრეები თუ გვქონდა რამე, და რა
ხასიათის. რა საინტერესო წიგნები აღწევდა თბილის-ქუთაი-
სამდე, რა გვინტერესებდა და ა. შ.

მრავალმხრივ აინტერესებდა ლენინს ჩვენი „3ა“ — ქვეყანა
(ამიერკავკასიას მან შემოკლებით ასე დაარქვა, როცა ჩვენგან
გაიგო, რომ რუსულ 3а-кавказье-ს ჩვენში, შებრუნებით

ქედის მიმართ, ამიერკავკასია ჰქვია). — Значит, Предкавказье?! — წამოიძახა ლენინმა მხიარული ღიმილით და დაუმატა: — А, для нас „За“? და მას შემდეგ „За-край“ გვიწოდებდა. საოცრად იცოდა მან ადამიანის თავისთან დასალოვება, მიჩვევა. მასთან თავისუფლად გრძნობდით თავს, ენაიდან იგი იყო განსახიერება ბრძნული სისადავისა და უბრალოებისა.

სსდომების დახურვის შემდეგ ჩვენ კარგა ხანს არ ვიშლებოდით, ჯგუფ-ჯგუფად ვსაუბრობდით; შინ წამოსვლისას რომელიმე ემიგრანტი, კარგი ხმის მქონე, იწყებდა ერთ-ერთ რევოლუციურ სიმღერას, რომელსაც იმწამსვე ყველა დიდის გატაცებით უერთდებოდა. ასე მთავრდებოდა ყოველი შეკრება. კაფედან ათზე ადრე აბა როგორ გამოვიდოდით; ერთი ხუთი—ათი წუთი მუშათა „რუხი უბნის“ ქუჩების გამოვლას ვუნდებოდით; ერთ-ერთ მოსახვევზე ლენინიც გამოგვეთხოვებოდა ხოლმე და თავისი სახლის წინ გაჩერებული ხელაწეული გვესალმებოდა, მხიარულად მოცინარე გამოხედვით, რადგან იცოდა, რომ „ცისფერი ქენევა“ უკვე ემზადებოდა უახლოეს კუთხეში ჩვენი ჯიბეების გასაწმენდად. რაც, მართლაც უსათუოდ ასეც ხდებოდა. ამის შემდეგ გამოვწევდით „ცისფერი ქენევისაკენ“, მაგრამ ეს ხომ სადამოს იყო, რომელიც მაშინდელ შვეიცარიისაში ათი საათიდან სრულ სიჩუმეს მოითხოვდა. იმდენად, რომ თუ ხმამალლა გავიცილებდით ქუჩაში, ან ქუჩიდან ვინმეს რამეს ავძახებდით მეორე სართულზე, იმწამსვე წესრიგის დამცველი გამოცხადდებოდა ჩვენს წინაშე ბრძანებით: „პატივი ეციოთ შვეიცარიის ძილს“. თუ განმეორდებოდა ხმაური, პოლიციის უახლოეს პუნქტში მიგვაბრძანებდნენ და არხეინად გვაჯარიმებდნენ. ასეთი რამ არაერთხელ დაგვტეხია თავს ქენევაში, ამ „რევოლუციონერთა თავშესაფარში“. — აი, დაგწყევლოთ ღმერთმა, მეძროხეებო“, უსათუოდ გულს მოიჯერებდა რომელიმე ჩვენგანი, მათთვის გაუგებარ ენაზე და საერთო ძალით ვიხდიდით ჩვენთვის შემოაწერილ ხარკს.

მეორე დღეს კი ლენინი, სიცილით იხუმრებდა ხოლმე: Вот как негостеприимная ваша голубая половина...

და ისევ გვიან დავიშლებოდით რევოლუციური სიმღერების უფრო და უფრო მწყობრი და გატაცებული შესრულებით. იმ

ზაფხულამდე ჩემი საყვარელი სიმღერა იყო „მარსელიოზა“, მერე კი ყველანი ლენინის არჩევანს შევეუერთდით და ჩვენი უსაყვარლესი სიმღერა გახდა (და დღემდე რჩება) ის სიმღერა, „მუშების ჰიმნი“ რომ დაერქვა:

Вышли мы все из народа,
Дети семьи трудовой.
Братский союз и свобода,
Вот наш девиз боевой.

დასასრული ასეთი იყო:

И водрузим над землею
Красное Знамя труда.

ლენინი პირდაპირ თავდავიწყებით ასრულებდა ამ ჰიმნს, იმ სხდომებიდან წამოსვლისას და ჩვენც გვიტაცებდა ყველას, დიდი ძალით...

საერთოდ, არაჩვეულებრივ ძალას იძენდა ეს გულთამფლობელი ადამიანთა მასებზე, განსაკუთრებით მაშინ, როცა შეკრებილთ სიტყვით მიმართავდა. ქენევაში იმ ზაფხულს ეს ყველაზე უფრო თვალში მოსახვედრად გამოჩნდა, შავ ზღვაზე ჯავშნოსან „პოტიომკინის“ გამოსვლასთან დაკავშირებით. ამ ამბავს ქენევაში, ქალაქის ერთ უდიდეს და საუკეთესო კაფეში, ტბის სიახლოვეს, ე. ი. „ცისფერი ქენევის“ შუაგულში მივიძღვნა ძლიერ გაცხოველებული, შეიძლება ვთქვათ, აღმოდებული მიტინგი, რომელიც არ გამოუტოვებია რუსეთიდან აქ ჩამოსულ არც ერთ სტუმარს, ან წლობით იქ მცხოვრებ ემიგრანტს. ჩემი მშობლებიც დაესწრნენ იმ შეკრებას და ალტაცებული დარჩნენ ლენინით და მისი სიტყვით. და მართლაც, უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა მისმა გამოსვლამ და იმ მიდგომამ, იმ გაშუქებამ, რომელიც მან (და მარტო მან, ხუთი თუ ექვსი ორატორიდან). მისცა შავი ზღვის ფლოტიდან წამოსულ ამ „პირველ ტალღას“.

საერთოდ ქენევის ის ორი თვე ჩემთვის წარმტაცი მზის შუქია ჩვენი ოქტომბრამდელი ახალგაზრდობის წლებისა. მე ბედნიერი ვარ, რომ იმ დაუვიწყარი დღეების და წუთების ნივთიერი სახსოვარი შემორჩა ჩვენს ოჯახს, და მერე როგორი სახსოვარი: თვით ლენინის მიერ ჩვენთვის მოცემული პატარა


წიგნაკი, მისი მიმართვა „სოფლის ღარიბებისადმი“ — „К деревенской бедноте“ (1903 წლის პირველი გამოცემა), ჟენევის ცენტრალური კომიტეტის შტამპით ყდაზე. ქვენი იმ წელს ნევას ნაპირებზე საზღვარგარეთიდან ჩემსგან უფრო ბედნიერი არავინ დაბრუნებულა; მაგრამ როგორ ვკანკალებდი საზღვარზე, ჟანდარმების ყოველ განძრევაზე, თუმცა იმ წიგნაკის მტკიცედ დასამალავად მაღალყელიანი, თოთხმეტლილიანი ფეხსაცმელი მქონდა შექმნილი, ერთ-ერთ ცალში იმ საუნჯის დასამალავად. და აი, წიგნაკმა უვნებლად მიადწია პეტერბურგის უნივერსიტეტის კედლებს, სადაც მას ერთმანეთს ხელიდან გლეჯდნენ გულზე ცეცხლმოდებული მკითხველები. ის წიგნაკი, მიღებული თვით ლენინის ხელიდან (სიტყვებით — А это Вам и Вашим Питерским товарищам от Женева), ამჟამად ჩვენს არქივში ინახება, როგორც უძვირფასესი განძი.

ხ ე ვ ა ს ნ ა პ ი რ ე ბ ზ ე

ჟენევის იმ დღეების შემდეგ გავიდა წლები, ისე რომ ლენინი არ გვინახავს, თუმცა აქ ერთი ამბავი მინდა გავიხსენო: 1912 წლის 22 აპრილს ძველი სტილით, „პრავდას“ პირველი ნომერი რომ გამოვიდა, ერთი ცალი მეც მერგო მეორე დღეს, პეტერბურგში. მასში რამდენიმე წამყვანი წერილი ლენინს ეკუთვნოდა, და სწორედ ისე იყო დაწერილი, როგორც ის ჟენევაში კამათობდა. ხმამაღლა რომ წავიკითხეთ, ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, თითქოს ცოცხალი ლენინი ვნახეთ და მოვისმინეთ „გიორგობა დღეს“ (23 აპრილს), რაც ამ გაზეთის მომტანმა ამხანაგმა ასე აღნიშნა ხუმრობით, ვითომდა ჩვენი გიორგის დღეობის გახსენებით: Вот вам, товарищи и современный наш Юрьев день!

ჩვენ შეკრებილი ვიყავით ქალთა პედაგოგიური ინსტიტუტის ქიმიური ლაბორატორიის ჩემს სამუშაო ოთახში; ეს იყო ჩვენი

ვიწრო წრე. ჩვენ გულდაწყვეტილნი ვიყავით, ვინაიდან თერთმეტი დღის წინ რევოლუციონერთა მიერ ამ საკონსპირაციოდ არჩეულ ქალაქში, სადაც ისინი ასე გაბედულად მოქმედებდნენ მეფისა და მისი „ობრანის“ ცხვირწინ, დააპატიმრეს სერგო ორჯონიკიძე. ამ ამბავს ჩვენი საუკეთესო ქართველი ნევისპირელი (და არა მარტო ქართველი) ახალგაზრდობა ძლიერ განიცდიდა. ასეთ ვითარებაში „პრავდის“ გამოჩენა, ჩვენთვის, ცხადია, სულის ამოთქმასავით იყო.



თამარ ნიკოლაძე-მუსხელიშვილის საშვი თავრიდის სასახლეში.

გავიდა კიდევ ხუთი წელი; დროის ამ მონაკვეთმა ჯერ 1914 წელი მოუტანა ჩვენს პლანეტას, ე. ი. პირველი მსოფლიო ომი, მერე 1917 წლის თებერვალი, და ბოლოს დიადი ოქტომბერი, მთელი მისი ბრწყინვალე შედეგებით, რომელთა გამოსხივება ამჟამად უკვე მთელს კოსმოსს სწვდება. მთვარეს გადასცდა და ვენერას აღწევს, მზისკენ მიიწევს.

ამ ეპოქალური ძვრების დასაწყისს, თუ პირველ ნაწილს, ჩვენი ოჯახი ნევას ნაპირებზე შეხვდა, იქ ვიყავით შუა ივნისამდე.

ამის შემდეგ შინ დავბრუნდით, თბილისსა და ჯიხაიში. მას
აქეთ ნახევარ საუკუნეზე მეტია გასული და რა ნახევარი საუ-
კუნე! მაგრამ 1917 წლის 20—23 თებერვლიდან შუა ივნისამ-
დე თითქმის ყოველი დღე, და ათი-თხუთმეტი ღამეც თითქოს
გუშინდელივით ცოცხლად მახსოვს.

ეს იყო მეტად მძიმე დრო: უკვე მესამე წელი მიდიოდა, რაც
უზარმაზარი იმპერიის თავზე ომის ხანძარი მძვინვარებდა.
აუტანელ დღეში იყვნენ ფრონტზე ჯარები, ხოლო ზურგში —
მოსახლეობა. თვით სატახტო ქალაქს, პეტროგრადად სახელ-
შეცვლილ სანკტ-პეტერბურგს პურიც კი შემოაქვდა, დანარჩენ
საკვებზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტი იყო: ცხენის და დათვის
ხორცს ყიდდნენ, როცა ჩნდებოდა „ხორცი“. ყოველდღე უზარ-
მაზარი „კუდები“ იყო ჩამწყვრივებული სასურსათო და გან-
საკუთრებით პურის წერტების წინ. აივსო დამშეული ხალხის
მოთმინების ფიალა, დაიწყო არეულობა რიგებში, გამოსვლე-
ბი. ჯერ წვრილ-წვრილი, მერე მეტი და მეტი. მოდიოდა ცნო-
ბები, რომ პეტროგრადის გარდა, მღელვარება მოედო მოს-
კოვს, ბაქოს, ნიჟნი-ნოვგოროდს და სხვა ქალაქებს. თებერვ-
ლის მეორე ნახევრიდან პეტროგრადის ღარიბი რაიონების ქუ-
ჩებზე, სასურსათო რიგებში ხან აქ, ხან იქ იწყებოდა უფრო
და უფრო მზარდი „მშიერთა ამბოხებანი“. ჩემმა მეუღლემ,
ისტორიკოსმა მიხეილ პოლიექტოვმა აიჩემა: ნუთუ 21 თებერ-
ვალს არაფერი მოხდებაო?

თურმე ეს თარიღი რომანოვების დინასტიის მამამთავრის, მი-
ხეილ რომანოვის ტახტზე აყვანის დღე ყოფილა 304 წლის
წინ. ჩემი მეუღლე გულისხმობდა, რომ ტახტის დამხობაც ამ
დღეს უნდა მომხდარიყო. Типун тебе на язык! — შეუტია
თავის შვილს ჩემმა დედამთილმა, მგზნებარე მონარქისტმა.

მაგრამ „მიხეილ-ავციას“ (როგორც თავისი დედა ეძახდა) ენამ
ნამდვილად უყვილა, სულ ოდნავი დაგვიანებით. იმ ხანებში
დაიწყო დიდი ქარხნების ცნობილი გაფიცვები და მასობრივი
გამოსვლები. ხალხის აღშფოთება იმდენად დიდი იყო, რომ
მთელი მთავრობა დაიბნა, სამხედროც, სამოქალაქოც. დაიწყო,
რა თქმა უნდა, ვიბორგის მუშურმა რაიონმა. ჩვენ, ქალები,
განსაკუთრებით ვამაყობდით იმით, რომ 23 თებერვალს (ახა-
ლი სტილით 8 მარტს) „პირველი ცეცხლი ქალებმა ააბრია-

ლეს“, საქსოვი ქარხნების მუშებმა: — ქმრებს ფრონტზე გვი-
ლუპავთ, შეილებს კი შიმშილით გვიხოცავთ, ძირს ასეთი თე-
ლისუფლებათ! იმავე დღეს გაიფიცნენ ვიბორგის რაიონის გვე-
ლა დიდი საწარმოს მუშებიც. და მათ ზეგავივით განმეცხველ-
ჩებში პეტროგრაძის მთელი მუშათა კლასი. დაიწყეს წინასწარ-
მღვრელი შეტაკებები, რამაც ბევრი მუშა იმსხვერპლა. 26 თე-
ბერვალს (11 მარტს) პოლიტიკური დემონსტრაციები უკვე
აჯანყებად იქცა. ჯარი ნელ-ნელა ხალხის მხარეზე გადა-
დიოდა.

როგორც უკვე ვთქვი, თვითმპყრობელური რეჟიმის მესვეურ-
ნი თავიდანვე დაიბნენ. 23 თებერვლის მასობრივი გამოსვ-
ლებით გულგახეთქილ „ოხრანკას“ და თვით პეტროგრაძის
სამხედრო ოლქის სარდალს, გენერალ ხაბალოვს მეფისათვის
ფსკოვში, მის სამხედრო ბანაკში ცნობა უფრენია: ხალხი აღარ
გვემორჩილებაო. რაზედაც 25 თებერვალს ხაბალოვს პასუ-
ხად ასეთი უზენაესი ბრძანება მოსვლია: „გიბრძანებთ ჩაახ-
შოთ დაწყებული არეულობა“.

თავისთავად ცხადია, რა უნდა მოჰყოლოდა მეფის ასეთ ბრძა-
ნებას. დაიწყო დამშეული, გამწარებული, უდანაშაულო ხალ-
ხის ჟლეტა და ზვრეტა. „წესრიგის დამცველნი“ ამის შემდეგ
ხალხის ყოველ ახალ გამოსვლას სამხედრო ნაწილების საბა-
სუხო ცეცხლით სვდებოდნენ. როცა შეატყვეს, რომ ჯარიც
უარს ამბობდა, ესროლა მშვიერი ხალხისათვის, „სარდლობამ“
პროტოპოპოვის ცნობილი პოლიცია და შავრაზმული სამხედ-
რო სასწავლებლების იუნკრები გამოიყვანა. თავთავიანთი
ტყვიამფრქვევებით ჩაასაფრეს ისინი მრავალსართულიანი, კუ-
თხის სახლების სხვენებზე, სახურავებიდან სასროლად; ან კი-
დეგ მოედნებზე დამყურე ტაძრების გუმბათებზე და სამრეკ-
ლოებზე. ასე, მაგალითად, მარტო ისააკის ტაძრის გუმბათზე
11 ტყვიამფრქვევი იდგა.

აქვე არ შემიძლია არ გავიხსენო ერთი ამბავი, რომელიც ჩემს
იმდროინდელ დღიურში მაქვს აღნიშნული: ზამთრის სასახლის
კომენდანტმა რატიშვილმა, თურმე არასჯივით არ მისცა ხაბა-
ლოვს ნება 30 ტყვიამფრქვევი დაედგა სასახლის სახურავზე.
ამისათვის მან შენობის დაცვა მოიმიზეზა და თქვა: თუ გინ-
დათ დამხვრიტეთ, მაგრამ სანამ ცოცხალი ვარ, არ დავუშვებ,

რომ რომანოვების გვარმა ასეთი შავი დალით დაამთავროს თავისი მეფობა — თავისი ხალხის და ჯარის ხერხტით საკუთარი სასახლიდანო.

ამას გადაურჩენია ეს სასახლე ტყვიებით დაზიანებისა ცეცხლის მოდებისაგან.

ტყვიამფრქვევების ერთი ასეთი ბუდე ჩვენს პირდაპირაც ჰქონდა მოწყობილი გენერალ ხაბალოვს. ისე, რომ რამდენჯერმე ტყვიამ ჩვენს სახლსაც დაუხვრიტა ფანჯრები.

მახსენდება 26 თებერვლის კვირა დღე. ქუჩები ხალხით იყო სავსე. დემონსტრანტები ქალაქის მთავარი ძარღვისკენ, ნევის პროსპექტისაკენ მიემართებოდნენ. აქ მათ, ყოველ მნიშვნელოვან გზაჯვარედინზე ტყვიების სეტყვა ხვდებოდათ. ათეულობით ეყარა მოედნებზე მოკლულები და ასეულობით დაჭრილები, რომელთაც თავგამოდებით ჰკრეფდა და თავს დასტრიალებდა საშუალო და უმაღლესი სკოლის მოსწავლე ახალგაზრდობის მოხალისეთა „რევოლუციური წითელი ჯვარი“. ასეთი მოხალისეთა ჯგუფები ჩვენც გვქონდა ჩამოყალიბებული 1905 წელს, შემოდგომის გაფიცებისათვის. ოღონდ, რა შესადარებელი იყო 1905 წლის გამოსვლები ამ საზარელ სისხლღვრასთან?! ასეთ დღეში დანამდვილებით ჯერ არავის ენახა ეს მრავლის მომსწრე, განუმეორებელი ქალაქი.

და აი, უკვე ბოლო მოეღო ხალხის მოთმინებას და სწორედ ამან შეწყვიტა უეცრად და გადაჭრით ეს უღმერთობა: ჯარებიც ააჯანყა. თურმე ხაბალოვს პავლოველების პოლკის სასწავლო ჯგუფის იუნკრებიც გაეყვანა ნევის პროსპექტზე. დემონსტრაციის მონაწილე მუშებმა ეს ამბავი სასწრაფოდ აცნობეს პავლოველთა მეოთხე ასეულს; ამ ცნობამ მთელი პოლკი იმწამსვე ფეხზე წამოაყენა და ყაზარმიდან გამოიყვანა აჯანყებულებთან შესაერთებლად. აქ მათ ჯერ ცხენოსანი პოლიციელების რაზმი დახვდა, რომელიც უკუაქციეს. მაშინ მათ წინააღმდეგ საუკეთესო სამხედრო ნაწილი გამოიყვანეს — მეფის გვარდიის „პრეობრაჟენცების“ პოლკი. მაგრამ ამოდ. როცა „პრეობრაჟენცებმა“ დაინახეს, ვის უნდა შებრძოლებოდნენ, ბრძანებაზე „ცეცხლი!“ თოფები ისევ მხრებზე აიწყვეს, მიტრიალდნენ და უკან წავიდნენ თავიანთ ყაზარმებში, რომელიც

ჩვენს მახლობლად იყო განლაგებული. რა მოელოდა ამისათვის ორივე პოლკის მეთაურობებს?



СОВЕЩАНІЕ СОВЕТОВЪ РАБОЧИХЪ И

СОЛДАТОВЪ ИХЪ ДЕПУТАТОВЪ 47

Билетъ для входа на хоры

.....
Р. Хуцишвили
.....

Членъ Исслѣдн. Комитета

Секретарь Иногородняго

Одѣла

პავლოველ მეთაურობით 19 მეთაური, იმავე დამეს, სიკვდილით დასასჯელად პეტრე-პავლეს ციხეში გადაიყვანეს. „პრობრა-უენცებს“ ეს ამბავი დაუყოვნებლივ აცნობეს ამხანაგებმა. ამან გადაწყვიტა საკითხი: წინა დღის ამბებისა და პავლოველთა და-პატიმრების გამო პროტესტის ნიშნად ვოლინელების და „პრო-ობრაუენცების“ აქტივმა გადაწყვიტა ყაზარმების მიტოვება. მათ სხვა პოლკებსაც შეუარეს, აქვე, მეზობელ ქუჩებზე მდებარე ყაზარმებში განლაგებულებს. და მთელმა ამ ზღვამ თავ-რიდის სასახლისაკენ დაიწყო დენა, სადაც სახელმწიფო სათათ-ბირო იყო მოთავსებული.

სადა იყვნენ სხვენებზე ჩასაჭრებული იუნკრები თავიანთი ტყვიამფრქვევებით? ან ქვემოთ, ტროტუარებზე კეტებით ხელში დამწყკრივებული მეეზოვეები და ქუჩების ჯვარედინებ-ზე დაყენებული „გოროდოვოების“ ჯგუფები? ყველა ეს გაქ-რა, თითქოს აჯანყებული ხალხისა და ჯარების ტალღამ წა-ლეკაო.

იმყამად ჩვენი ოჯახი, გარდა ენაკიევიში მომუშავე გიორგისა, ყველა პეტროგრადში ვიყავით შეკრებილი და თავრიდის სასახლის ახლოს ვცხოვრობდით, ფურშტადტის (ამჟამად პეტროლაეროვის) ქუჩის და ვოსკრესენსკის (ამჟამად ჩერნიშევსკის) პროსპექტის კუთხის დიდ სახლში. ჩვენს საერთო, მაუდ-დაფენილ დიდ კიბეზე პროფესორ ალექსანდრე ცაგარელის ბინაც გამოდიოდა, და აგრეთვე სხვებისაც. ჩვენ კი, ნიკოლაძეების და პოლიექტოვების ოჯახები ორ სართულად ვიყავით დაყოფილი: ახალი გაზეთის „რუსკაია ვოლიას“ რედაქტორად გამოწვეული, მეფის მთავრობის მიერ ფოტოს მოშორებული მამაჩვენი, დედა და ჩემი და, თამარი მესამე სართულზე იყვნენ. ჩვენ კი, ე. ო. მე, ჩემი ქმარ-შვილით და დედამთილით — მეოთხე სართულზე გვქონდა ბინა. მამამ და მიხეილმა (ჩემმა მეუღლემ) ამას ხუმრობით *Добрососедские русско-грузинские отношения* დაარქვეს (და მიხეილის საკვლევადიებო თემა იყო). ეს ცნება მოიცავდა ორივე ჩვენი ბინის ურთიერთობას პროფესორ ცაგარელის ბინასთანაც, მას აქეთ, რაც თებერვლის რევოლუციამ პირველი დღეებიდანვე ყველანი დიდი მოვლენების მოწმენი გაგვხადა; ხშირად ვიკრიბებოდით ხან ერთ, ხან მეორე ბინაზე, იყო გაცხოველებული სჯა-ბაასი არა მარტო რუსეთის რევოლუციის, არამედ საქართველოს ბედზედაც. მომხსენებლები უმრავლეს შემთხვევაში იყვნენ თვით პროფესორი ცაგარელი და ქართველ მეცნიერთა ახალი თაობის თავკაცი, ივანე ჯავახიშვილი, მაშინ ჯერ კიდევ პრიატ-დოცენტი პეტროგრადის უნივერსიტეტისა.

მამაჩემი და ჩემი მეუღლე მიხეილი ამ შეკრებების უაღრესად აქტიური მონაწილენი იყვნენ. მე და თამარი კი, 27 თებერვლის შუადღიდან, სულ სხვანაირად ჩაგვებით რევოლუციის დუღილში: როგორც კი დავინახეთ ჩვენი ბინების ფანჯრებიდან თავრიდის სასახლისაკენ მისწრაფებული ჯარების ზღვა, სამხედრო ნაწილების და მოქალაქეების ერთმანეთში არეული ჯგუფები, მე და თამარმაც იმწამსვე დავტაცეთ ხელი ჩვენს თბილ ქუდებს და ქურქებს, რადგან მაგრად ყინავდა იმ დღეს, და შევეუერთდით იმ უოცხალ მორევს, რომელთანაც ერთად მივადექით თავრიდის სასახლის მსოფლიოში განთქ-

მული სილამაზის თუჯიდან ჩამოსხმულ გისოსს. თუ არ ვცდები, დღის ორი საათი იქნებოდა.

მაგრამ ვის უნდა მიეღო ეს ხალხი იმ დღეს სასახლეში? ვუწინაქუჩებში სისხლის გუბეები იდგა. ისმოდა გაუფიქრებელი სტრელა. ნაშუაღამევს, რედაქციიდან როგორც იყო დაბრუნებულმა მამაჩემმა (ო, რა შიში გამოვიარეთ მისთვის), გარდა იმ დღის ხოცვა-ჟლეტის ამბებისა, კიდევ ცნობა მოიტანა მეფის „სტავკიდან“ მოსული ბრძანების თაობაზე, სახელმწიფო სათათბიროს აპრილამდე დათხოვის შესახებ. მამ ვიღა დაგვხვდებოდა სასახლეში?

უცებ გისოსზე გადმოდგარი კარლო ჩხეიძე დავინახეთ. მან სიტყვით მიმართა ხალხს. ჭიშკარში რომ შევედი, იქ შესავალ კარში კერენსკი დაგვხვდა; მალე როძიანკოც გამოვიდა ჩვენთან, ცნობილ სვეტებიან დარბაზში, სადაც ჩვენ ვიდექით და გამოგვიცხადა, რომ მათ გამოჰყვეს დამხობილი ხელისუფლების დროებით ჩამნაცვლებელი ხელმძღვანელობა, სათათბიროს დროებითი აღმასრულებელი კომიტეტი (ДУМСКИЙ КОМИТЕТ), შემოკლებით „დე-კა“.

მოვლენები ელვის სისწრაფით ცვლიდნენ ერთმანეთს. ცხადია, იმ დღეებში ჩვენთვის ყველაფერი ნათელი არ იყო. მეც და თამარიც თავრიდის სასახლის ახლად ნაკურთხი „პოლიტიკოსები“ ვიყავით და ყველაფერში უფრო გვიან, ლენინის ჩამოსვლის შემდეგ გავერკვიეთ.

დავუბრუნდეთ ისევ 27 თებერვლის ამბებს. თავრიდის სასახლე, სადაც ჩვენ იმ დღეს შევეყვით მუშებსა და ჯარისკაცებს, ჩემთვის კარგად იყო ცნობილი უკვე 1906 წლიდან, როცა დაიწყო მისი შუა ნაწილის სასწრაფო გადაკეთება მრავალადგილიან სასახლომ დარბაზად (სახელმწიფო სათათბიროსათვის სჭირდებოდათ). ინიერმა პალაშოვსკიმ მისი ამფითეატრის აგება მიანდო მამაჩემის მიერ ფოთის და ჯიხაიშის მშენებლობისათვის ბელგიიდან მოწვეულ ცნობილ ჰენებიკის რკინა-ბეტონის ფირმას. 1906 წლის 27 აპრილს იხსნებოდა პირველი სათათბირო, და თებერვალსა თუ მარტში მამა ფოთიდან ჩამოვიდა ამ გადაკეთების მსვლელობის გასაცნობად. ორჯერსამჯერ მეც წამიყვანა თან, როგორც მომავალი ქიმიკოსი, ბე-

ტონის მასის მზადების პროცესის გასაცნობად. საქმე ისაა, რომ ზაფხულიდან ფოთში, ამავე წესით, უნდა დაეწყოს ახლანდელი თეატრის შენობის აგება; ჯიხაიშში კი ცხენისწყლის გამომყვანი თხრილების სისტემის რაბები უნდა გადმოეყვანათ ამ სინესტის გამძლე მასალაზე, ხონიდან იანეთის გუბისწყლის ხიდამდე, სამტრედია-კობიტნარის ლიანდაგზე. მამამ ყველაფერი ეს შესძლო, მიუხედავად ათასგვარი დაბრკოლებისა, ათასგვარი სიძნელისა; ეს ხომ 1906—1907 წლები იყო, როცა რეაქცია ზეიმობდა და განუკითხავად თარეშობდნენ ალიხანოვ-აგარსკის ჯარები. ირგვლივ კვამლის სუნი იდგა და თვით ჰაერიც კი მოშხამული იყო. და აი, ამ ამბიდან ათი წლის შემდეგ ჯარი აღარა სცნობს მეფეს, აჯანყებულთა... გასაგებია, თუ რა გრძნობით შევდგით ფეხი მე და თამარმა, ამ ჯარისკაცებთან ერთად, თავრიდის სასახლის დარბაზში.

სასახლეში უკვე ყველას თავისი ადგილი ეჭირა. აქ იყო ДК — „სათათბიროს კომიტეტი“, ВК — „სამხედრო კომისიაც“, რომელიც ამ კომიტეტს ემორჩილებოდა; მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოც.



მთელი იმ დღის განმავლობაში, შუადღიდან ნაშუადღემდე სასახლეში გაუთავებელი მიტინგები მიდიოდა, ირეოდა ზღვა ხალხი. პირველივე დღიდან, მეც და თამარიც, სხვა უმადლესი სასწავლებლებიდან მოსულ ახალგაზრდებთან ერთად, საქმეში ჩავებით.

ჯარებს შემოყოლილ სხვა კერძო პირებთან ერთად, ჩვენ მთელი პირველი დღე მოვანდომეთ აქ გადმოსული ჯარების დაბინავების და კვების მოწყობის საქმეს. ჯარისკაცებს თავიანთი ყაზარმები უკვე მიტოვებული ჰქონდათ, და, ცხადია, ახლა მათი მოვლა და მოწყობა ადვილი არ იყო.

ჯარისკაცებისათვის საქმლის შოვნისა და მომარაგების თვალსაზრისით ბევრი შრომა გასწიეს ბესტუჟევის კურსების ქალთა ჯგუფებმა, რომელთაც, ჯარისკაცებისავე თანხლებით, სატვირთო მანქანებით ვასილის კუნძული შემოიარეს რამდენჯერმე, მოინახულეს ნაცნობი ოჯახები და იქიდან ფუთობით მოუზიდეს აჯანყებულებს შემოწირული სურსათ-სანოვავე და პური. ოტტის ცნობილი სამშობიარო სახლიდან კი შემწვარი ბატები

და შამპანურიც კი მოუვიდათ ფეშქაშად სპეციალურად „პრეობრაჟენცებს“.

მეორე დღეს, ე. ი. 28 თებერვალს, სასახლეში გატარებული თითქმის უძილო ღამის შემდეგ, მე დილიდანვე ~~ორი შეხვედრა~~



მქონდა „წარსულთან“: ჯერ წინა დღეს აქ მოსული ჯარების დილის საუზმის დროს გაისმა ხმები: სემიონოველები მოდიან! სემიონოველებიო! ეს პოლკი ადრე, კერძოდ, 1905 წლიდან, ცნობილი იყო თავისი შავრაზმული განწყობილებით. რამდენჯერმე გამოუყვანიათ იგი ჩვენი სტუდენტური გამოსვლების დასარბევად! ამიტომ ახლა ჩვენ, ის ადამიანები, ვინც ამ სასახლეში მყოფთა შორის მარცხენა ფრთას ვეკუთვნოდით, დიდი სიხარულით შევხვდით მათ მიერ ფარხმალის დაყრას. მათი შემოსვლის დროს გაისმოდა ხმები: — Дорогу раскаявшимся, семеновцы идут! რამდენი შავი წუთი აღსდგა ჩემს მეხსიერებაში, სემიონოველთა მუნდირები რომ დავინახე! ჩემთან და თამართან ერთდროულად სასახლეში კიდევ ორი ქართველი ქალი იმყოფებოდა, ორივე ბესტუჟეველი სტუდენტი. ერთი იყო ისტორიკოსი, პროფესორ ტარლეს და ჩემი მე-

უღლის მოწაფე, რუსუდან მიქელაძე, ამჟამად თბილისის თე-
ატრალური ინსტიტუტის უფროსი მასწავლებელი და დამსა-
ხურებელი ბიბლიოთეკარი. მეორე იყო ანა ჩხეიძე, შემდეგ
თბილისის უნივერსიტეტის ლიტერატურისმცოდნეობის პრო-
ფესორი და მეცნიერებათა დოქტორი, აწ განსვენებული.

ჩვენი თამრო კი იმჟამად უკვე ახლად კურსდამთავრებული
იყო; ჩემსავით ისიც პედაგოგიურ (აწ გერცენის სახელობის)
ინსტიტუტში იყო დატოვებული თავისი დარგის, ფიზიოლო-
გიის კათედრასთან, მეცნიერული ხარისხის მისაღებად (რასაც
ახლა ასპირანტურა ჰქვია). მე ეს „დატოვება“ შეიძლია წლით
ადრე მქონდა გამოვლილი, რის შემდეგ თამრო და მისი თანა-
კურსელები ჩემი სტუდენტები გახდნენ (ქიმიას ვკითხულობდი).
ამიტომ ახლა, თავრიდის სასახლეში ამდენი სამუშაოს აღმო-
ჩენის შემდეგ, მე და თამრომ მისი ყოფილი თანაკურსელები
ც მოვიწვიეთ ჩვენს დასახმარებლად. სასახლეში დაიწყო ტე-
ლეფონების ქსელის აღდგენა და ჩვენ აქაც საჭირონი ვიყა-
ვით. უკვე 27 თებერვალს დიდი დახმარება გაგვიწია ჩვენთვის
სრულიად მოულოდნელმა ადამიანმა — პოეტმა ვლადიმერ მა-
იაკოვსკიმ, თავისი სამხედრო-საავტომობილო სასწავლებლით,
სადაც ის იმჟამად მუშაობდა: მათ იერიშით აიღეს ტელე-
ფონის სადგური, რომელსაც პოლიცია საგანგებოდ იცავდა.
გადაჭრეს დამხობილი ხელისუფლების სატელეფონო ხაზები
და აამუშავეს ახალი ვითარებისათვის საჭირო ქსელი.

ეს იყო ჩემი მეორე შეხვედრა წარსულთან. მაიაკოვსკი ზომ
ჩვენებური „ქუთაისელი პოეტი“ იყო. წინა წელს მაიაკოვსკი
და კამენსკი ერთად ჩამოვიდნენ ელენოვოდსკში, სადაც
ჩვენ ზაფხულს ვატარებდით. ეს იყო დრო მათი „ფუტურის-
მისა“, როდესაც ამ პოეტებს თავიანთი შთაგონების სიმბოლოდ
ნარინჯის ფერი ჰქონდათ გამოცხადებული, რის გამო წითელი
მიხაკის ნაცვლად... სტაფილოს ატარებდნენ გულზე. მაშინ კა-
მენსკი ნარინჯისფერი მიტკლის ბლუზითაც კი გამოვიდა პარკ-
ში, ესტრადაზე, თავისი ლექსებით... ახლა კი მაიაკოვსკის სას-
წავლებელი, ცხადია, წითელი დროშით შემოვიდა და წინ თვით
პოეტი მოუძღვებოდათ ანთებული თვალებით.

— მუშაობენ თქვენი ტელეფონები? შეგვეკითხა ის. გუშინ-

დელს აქეთ აპარატები მუშაობდნენ. გამაყრუებლად რეკავდა
სასახლის ყველა სექტორის ტელეფონი, და ესუფრმენ მასში
გაკეთებული საქმე ყოფილიყო.

საბჭოთა რუსეთი

РУССКАЯ СОЦИАЛДЕМОКРАТИЧЕСКАЯ РАБОЧАЯ ПАРТИЯ.

Программа нашей партии социалистов

Н. ЛЕНИНЪ.

Къ деревенской


бѣднотѣ.

Объясненіе для крестьянъ, чего хотятъ
соціалдемократы.

Съ приложениемъ

Проекта программы Русской Соціалдемократической
Рабочей Партии.

4



Изданіе Загран. Моск. Русск. Революціонной Соціалдемократической Партіи.

ЖЕНЕВА

Typographia Lora, Route Caroline, 27.

1903

მაიაკოვსკიმ შემდგომში ასე გაიხსენა ეს დღეები: «Влез в кабинет Родзянки. Осмотрел Милюкова. Молчит. Но мне почему-то кажется, что он заикается. Через час надоели. Ушел».

და აი, ახლა ჩვენ დავუტრიალდით ტელეფონებს. სასახლის ტელეფონთა ქსელი ადრე სათათბიროსათვის იყო მოწყობილი და ერთი მისი ნაწილი, დეპუტატების საჯარო ხმარებისათვის განკუთვნილი, შენობის ხმაურისაგან დასაცავად, სპეციალურ ბუდრუგანებში იყო მოთავსებული, რიცხვით ათამდე. მათ შორის პირველი ორი დადგმული იყო სვეტებიანი დარბაზის ცენტრში. მათ „მთავარი-ბუდრუგანები“ ერქვა, № 1 და № 2. ორივე ამ მთავარი ბუდრუგანის ცვლის და მორიგეობის უფროსებად მე და თამარი დაგვნიშნეს. განსხვავებით დანარჩენი, ვარეშე პირებისათვისაც მისაწვდომი წერტილისა, ეს ორი ხაზი განსაკუთრებული დანიშნულებისა იყო: პირველს შემოკლებით „ჩხეიძის ბუდრუგანას“ ეძახდნენ. ამ ბუდრუგანიდან საბჭოს მიერ დაკავებულ № 13 ოთახამდე ას-ასოც მეტრამდე მანძილი იყო გასარბენი, გამოძახებული პიროვნების მოსაყვანად. მაგრამ მაშინ აბა ვის შეაშინებდა ასეთი წვრილმანი?

№ 2 ბუდრუგანა კი მარჯვენა ფრთას გადაეცა, ე. ი. სათათბიროს, მისი დროებითი კომიტეტებით და კომისიებით, რომელთაც 2 მარტიდან დროებითი მთავრობა ჩაუდგა სათავეში მაგრამ იმ ბუდრუგანას ბოლომდე რომიანკოს სახელი შერჩა. ამიტომ მე და თამარი № 2 ბუდრუგანა სათათბიროს მრავალრიცხოვან ხელქვეითებს გადავულოცეთ, თვითონ კი № 1 ბუდრუგანა ავიღეთ მთლიანად ჩვენს თავზე, დღეღამურად, ურთიერთშეცვლით. ასე გადავიქეციით ჩვენ მარტო მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს მოხალისე თანამშრომლებად.

რა შესანიშნავად დაგვიხასიათა და გაგვაცნო იმ ჩვენმა მუშაობამ საბჭოს მთავარი პირები. ძირითადად ურეკავდნენ სამკაცს: ჩხეიძეს და მის მოადგილეებს. მაგრამ რა განსხვავება იყო მათს რეაგირებას შორის. ჩხეიძეც და სკობელევიც ჩვენსავით სულ სირბილ-სირბილით წამოვიდოდნენ ხოლმე ტელეფონთან, ყოველ გამოძახებაზე. სამაგიეროდ, მესამე, ყველა მმართველ დაჯგუფებაში შემავალი კერენსკი, ყოველ გამოძახებაზე საშინლად გაიპრანჭებოდა, დაიწყებდა გამოძიე-

ბას. ვინ მიხმობს? რატომ? რისთვის? ამიტომ იყო, რომ სულ
მალე აღარც-ერთი მორიგე აღარ კისრულობდა აქეთ-იქეთ სი-
ბილს მის გამოსაძახებლად. და ყველას უპასუხებდნენ: „აქ-
არისო.“

ტელეფონით კი ქარხნებიდან და ჯარის ნაწილებიდან, კარგი
ამბების გარდა, ცუდიც მოდიოდა: აქა-იქ 27 და 28 თებერვალ-
საც გრძელდებოდა ბნელი ძალების შეტაკებები სასახლისაკენ
მომავალ ხალხის ნაკადებთან. და ზოგჯერ სროლაც. მთავარი
სადაგლობა კი ის იყო, რომ ჯარის ნაწილების ხალხის მხარეზე
გადმოსვლით გულგახეთქილი „ოხრანკის“ გულშავ ხელმძღვა-
ნელობას, თავისი ბნელი საქმეების გამომჟღავნების შიშით,
ერთდროულად ცეცხლი წაეკიდებინა პეტროგრადის ოლქის სა-
სამართლოს უშველელელი შენობისათვის (ლიტეინის პროს-
პექტზე, რომელზედაც ჩვენი ქუჩაც გადიოდა) და პოლიციის
ყველა უბნის სადგომისათვის („უჩასტოკი“ რომ ერქვა). ეს,
თურმე, იმიტომ, რომ იქ ყველგან ინახებოდა პოლიტიკურ
დევნილთა და დასჯილთა საქმეები; ოლქის სასამართლოს შე-
ნობა კი სპეციალური მიწისქვეშა გვირაბით შეერთებული იყო
იქვე პროსპექტზე გამავალ ქუჩაზე აღმართულ ექვსსართუ-
ლიან სატუსაღოსთან, რომელსაც „წინასწარი დაპატიმრების
სახლი“ ეწოდებოდა (Дом предварительного заклю-
чения, შემოკლებით Предварилка). იმ გვირაბით ერეკებოდ-
ნენ ჟანდარმები დაპატიმრებულ „პოლიტიკურებს“. აქეთ --
საქმის გარჩევაზე, უკან კი სიკვდილით დასჯის ან კატორღაში
გაგზავნის განაჩენით.

ახლა ეს შენობა, მთელი იმ საქმეების არქივებით, ბრიალებ-
და, იწვოდა, მიუხედავად იმისა, რომ მრავალი სახანძრო რაზმი
ეხვია ირგვლივ. მარტო მესამე დღეს ჩააქრეს საბოლოოდ
ხანძარი, რომელიც ბნელმა ძალებმა გააჩაღეს იმ მიზნით, რომ
კვამლის ბნელი ფარდა გადაეფარებინათ იმ ჯოჯოხეთისათვის,
იმ ტანჯვისა და წამების დილეგებისათვის, რომელიც თვითონ-
ვე ჰქონდათ მოწყობილი და რომელსაც რუსეთის იმპერია
ეწოდებოდა. ჩვენი ბინების ფანჯრებიდან კარგად ჩანდა ეს
ხანძარი ახლა, 27 თებერვლის ღამიდან ირგვლივ აპრიალებულ-
მა „პოლიტიკური საქმეების“ მომსპობმა საზარელმა ხანძარ-

მა ჩემი მეუღლეც, ისტორიკოსი და გატაცებული არქივისტი
ამოქმედა სასწრაფოდ და მან 28 თებერვლის დღიდანვე
დაიწყო ზრუნვა ისტორიული კვლევა-ძიებისათვის. საქცილებ-
ლი დოკუმენტაციის დაცვისა და შეგროვებისათვის, პირველ
რიგში მას და მამაჩემს, თურმე, სადაც კი შეიძლებოდა, შე-
უტყობინებიათ და ზომები მიუღებინებიათ სასამართლოს შე-
ნობაში და მახლობელ „უჩასტკებში“ (პოლიციის უბნებში)
ცეცხლის ჩასაქრობად. და მართლაც, შემდგომში ბევრი საინ-
ტერესო მასალა აღმოჩნდა იმ კიდე-მომწვარ, უკანასკნელ წუ-
თებში გადარჩენილ საქალაქლებში.

ისტორიკოსი-არქივისტი ყველგან ისტორიკოსად რჩება. და
ჩემი მეუღლე (როგორც ტელეფონით შევიტყვეთ) თავის მე-
გობართან, პროფესორ პრესნიაკოვთან ერთად, იმავე 28 თე-
ბერვლიდან შეუდგა ყველაფრის ნახულის და გაგონილის ჩა-
წერას. ხანძრების ჩაქრობასთან დაკავშირებით კი მათ, თურ-
მე, გადაუწყვეტიათ ახლავე, დროის დაუკარგავად, დაეარსე-
ბინათ რევოლუციის შემსწავლელი საზოგადოება.

საზოგადოებას ჯერ დაერქვა „1917 წლის რევოლუციის შემს-
წავლელი საზოგადოება“, მერე კი „რუსეთის რევოლუციის
შემსწავლელი საზოგადოება“. თავმჯდომარე იყო ცნობილი
პროფესორი პრესნიაკოვი, თავრიდის სასახლის სექციის თავმ-
ჯდომარე — პროფესორი პოლიევქტოვი (1918 წლიდან სამ-
ხედრო სექციის თავმჯდომარეც); საზოგადოების მდივანი იყო
პროფესორი ხილინსკი. პირველი ორი რუსეთის ისტორიის
სპეციალისტები იყვნენ, ხილინსკი კი — აღმოსავლეთის.

მაგრამ ჯერ ისევ იმხანად ახლად დაწყებულ მოვლენებს და-
ვუბრუნდეთ. თებერვლის ძლიერ დაძაბული დღეები (23—28)
დაავიროვებინა რომანოვების დინასტიისათვის საბედისწერო
მარტმა, რომელმაც ამჯერად სამუდამოდ დაუმხო მათ ტახტი.
ჩემმა მეუღლემ გაგვახსენა, რომ პავლე პირველიც მარტში
გაიბატუმრეს საიქიოს, 13 რიცხვში და მისი შვილიშვილი, ალექ-
სანდრე მეორეც, ხომ პირველ მარტს მოჰკლეს ყუმბარით.

საქართველოს ეს უკანასკნელი ამბავი ახარა აკაკისთან შემო-
ფრენილმა „მერცხალმა“, 3 მარტის სამგლოვიარო ჩარჩოში
ჩასმული „დროების“ პირველივე გვერდიდან. ეს უკვე მამამ

გაიხსენა, როდესაც აქაც მას მერცხლის მაგიერ თამარს რომ
 ახარა, სწორედ 3 მარტს, სასახლის ტელეფონით, ნიკოლოზის
 გადადგომა. ამაზე მამამ, თურმე, იმწამსვე წამოიძახა: **რევნული**
ნიკოლოზი



ნ. ნიკოლაძე და მისი მეუღლე ოლა გურამიშვილი.

— აფსუს, რა გახარებული იქნებოდა აკაკი დღეს ამ ამბით!
 ნეტავ ცოტა კიდევ ეცოცხლაო: ახლა შვილიშვილიც ხომ „გად-
 მოუბრძანა“ ტახტიდან აფეთქებულ მეფეს მის მიერ „განთავ-
 ვისუფლებულმა“ ხალხმაო. და დაუმატებია: დღეს შენა ხარ
 ჩემი და ოლიკოს მერცხალი, შვილო!

ცნობამ, რუსეთს მეფე აღარ ჰყავსო — აუწერელი აღტაცება
 გამოიწვია. ადამიანები ერთმანეთს აქვე, ქუჩაში ისე ულოცავ-

დნენ, როგორც ძველად აღდგომა დღეს. მე და თამრო იმწამსვე
ორივე ბუდრუგანას დავეპატრონეთ და ჯერ შინ, ჩვენს ორივე
სართულს ვახარეთ, მერე ჩვენს კათედრებს ინსტიტუტში, მერე
ყველა მეგობარს. ყველას სასახლისაკენ ვიწვევდით, შემოსას-
ვლელ ჭიშკართან, სადაც უნდა წაეკითხათ ცნობა მეფის გა-
დადგომაზე. როძიანკომ ეს საქმე მიანდო თავისი კომიტეტის
ყველაზე მძლავრხმიან კაცს, კაზაკების დეპუტატს ყარა-
ულოვს.

ამ კითხვის დაწყებამდე ჩვენ, ტელეფონებზე მომუშავეებმა,
რომლებსაც სპეციალური საშვები გვქონდა სასახლის ყველა
ოთახში შესასვლელად, ვისარგებლეთ ამ პრივილეგიით და
იქაურობა სულ შემოვირბინეთ. და როგორ გავგიკვირდა, რომ
ამ მჩქეფარე და საზღვარდაუდებელი სიხარულის დროს დავი-
ნახეთ, როგორ ჩამოსტიროდათ სახე როძიანკოს კომიტეტსა
და წინა დღეს ჩამოყალიბებული დროებითი მთავრობის მი-
ნისტრებს, განსაკუთრებით მილიუკოვს, გუჩკოვს და თვით რო-
ძიანკოს. მეფის გადადგომასთან ერთად მიღებული იყო ცნობა,
რომ მისი ძმაც, მიხეილიც უარს ამბობდა ტახტზე და ამრი-
გად, რომანოვები საბოლოოდ მიდიოდნენ ისტორიის არენი-
დან. მილიუკოვის მიერ წინა დღეს წარმოთქმული „საპროგ-
ნოზი“ სიტყვიდან კი ვიცოდით, რომ ახალ მთავრობას სურ-
და შეექმნა „ინგლისისა და ნორვეგიის მსგავსი“ კონსტიტუ-
ციური მონარქია (მეფით და პარლამენტით ერთად, ე. ი. რასაც
ჩვენ ვებძოდით). მიხეილის უარი კი გამორიცხავდა ამ რეგე-
ნტობასაც, რომელიც რეაქციის ძალებმა შესთავაზეს რუსეთს
მცირეწლოვანი მემკვიდრის გაზრდამდე, ე. ი. ახალი რომანო-
ვის გამეფებამდე. მელია მილიუკოვის ამ ფანდმა — შეეპა-
რებინა რეგენტი მეფის ნაცვლად — დიდი აღშფოთება გამო-
იწვია ჯარშიც და მუშათა ორგანიზაციებშიც. და აი, ახლა მი-
ლიუკოვის გეგმები საბოლოოდ იმსხვრეოდა და, გასაგებია,
რომ რეაქციისათვის ეს თავზარდამცემი ამბავი იყო.

მაგრამ მეტი რა გზა ჰქონდათ. უნდა გამოსულიყვნენ ხალხის
წინაშე და მანიფესტი წაეკითხათ.

ჩვენ კი აღტაცების გრივალმა შეგვიპყრო და თან წარგვიტაცა.
მეფის მიერ ხელმოწერილი გადადგომის გამოცხადება რევო-
ლუციის საბოლოო გამარჯვების ილუზიას გვიქმნიდა და გვე-

გონა, ხალხი ერთი ხელის მოსმით გაბედნიერდებო. ხვდით ვთქვი, ჩვენ „ახალგამოჩენილი პოლიტიკოსები“ ვიყავით და ვითარების სწორი ანალიზი, ცხადია, არ შეგვეძლო. და აი, 3 მარტს, დღის სამი საათისათვის სასახლესთან შეკრებილი ხალხი მოზღვავედა. ხალხი არა თუ შენობაში, ეზოშიც არ შემოუშვეს. სად დაეტეოდა! ამიტომ ეზოს ეს ნაწილი, სადარბაზოდან ქუჩის კიშკრამდე და გისოსამდე ჩვენ, სასახლეში მყოფებმა დავიკავეთ. ორატორებისათვის ტრიბუნად გისოსზე მიდგმული მაგიდა გამოვიყენეთ, საიდანაც ყარაულოვმა თავისი მქექქარე ხმით წაუკითხა ხალხს მანიფესტი მეფის გადადგომაზე.

იმ აურზაურში უცებ შევამჩნიეთ, რომ სასახლის გისოსს, ქუჩის მხრიდან დედა და მამა მოსდგომოდნენ, ღრმად აღელვებული და ბედნიერებისაგან გაბრწყინებული სახეებით. ჩვენ კი, უმცროსი თაობა, ე. ი. თამრო, მე და ჩემი მეუღლე ეზოს მხრიდან ვიყავით იმავე გისოსზე მიწოლილები, რომ როგორმე მშობლებს გამოვლაპარაკებოდით.

მაგრამ საუბარზე ფიქრიც კი შეუძლებელი იყო. ყარაულოვის პირველივე სიტყვებმა — „გადადგომა გადავწყვიტეთო“; სტიქიური სიხარულის ისეთი გრიგალი ატეხა, კინაღამ დავყრუვდით. ისმოდა შეძახილები: ვაშა! გაუმარჯოს რესპუბლიკას! მთელი ძალაუფლება საბჭოებს! ლიტენინს პროსპექტიდან ახალი ტალღა აწვებოდა და ხალხის ზღვა, სტიქიურად, თავრიდის სასახლის კარის ავლით სმოლნის სასახლისაკენ გაემართა, თითქოს ხალხი ინსტიქტურად უკვე გრძნობდა, თუ საიდან უნდა მოსულიყო ნამდვილი გამარჯვებაც და ნამდვილი თავისუფლებაც.

ლენინის ჩამოსვლა

ვისაც თვითონ არ განუცდია, ის ძნელად წარმოიდგენს, რამდენად შეცვალა თავრიდის სასახლის მთელი გარემო, პეტროგრადის მთელი ვითარება ლენინის ჩამოსვლამ.

ეს განსხვავება და ყველაფერში ახალნაირობა დღიწყო უკვე წინა დამიდანვე, როცა პეტროგრადის მუშები, ჯარისკაცები და მატროსები შეხვდნენ მატარებელს, რომლითაც ლენინი ჩამოდიოდა. ფინეთის სადგურთან, თვით სადგურის წინ მოუღდა ზე მოზღვავებული ხალხის ისეთი ჭედვა იყო, რომ შენობამდე გზის გაკაფვა და შიგ შესვლა თანდათან შეუძლებელი ხდებოდა.

ადვილი წარმოსადგენია, როგორ გამაბედნიერა ცნობამ, რომ მე და თამარიც შეტანილი ვიყავით ლენინის შესახვედრად სასახლიდან მიმავალთა სიაში. ენევის შემდეგ ის არ გვენახა და ახლა, ამ სულ ახალ გარემოში მოუთმენლად მოველოდით მის დანახვას, მოსმენას; მისთვის ჩვეულ ფიცხელ დავას საკითხის გასაშუქებლად, ყველა საკითხის სულ ახალნაირად დაყენებას. განსაკუთრებით მომერია მოუსვენრობა მას შემდეგ, რაც ორი დღით ადრე პლენანოვიც ჩამოვიდა. მაშინ ირაკლი წერეთელი და სკობელევი მეპატიჟებოდნენ წავყოლოდი მათ ფინეთის სადგურზე მის შესახვედრად. ისიც არ გვენახა 1905 წლის ენევის შემდეგ. მაგრამ პლენანოვი სულ სხვა ბუნების ადამიანი იყო და ჩემსავით პოლიტიკაში უვიც მოქალაქეებს „ადამიანებადაც არ სთვლიდა“, როგორც ლეონათაძე იტყოდა ხოლმე სიცილით, ჭერ ისევ ენევაში ყოფნის დროს. არც კი შემოგვხედავდა, თუ სადმე შევხვდებოდით სხდომაზე. მაშ რატომ უნდა მივგებებოდი მას სადგურზე? ამიტომ მათ არ წავყვი.

მეორე დღეს კი, თათბირზე, ენევისაგან ესოდენ დიდად განსხვავებულ გარემოში, სულ ვადარებდი მას და ენეველ ლენინს, ვადარებდი მათ დამოკიდებულებას უბრალო ხალხის მიმართ. რაოდენ „სნობი“ იყო პლენანოვი მასებთან შეხვედრისას და არა მარტო მასებთან: 2 აპრილი, როცა ის თათბირზე მოიყვანეს, აღდგრმა დღე იყო და, მაშასადამე, კვირაც. ხალხით პირთამდე სავსე აუდიტორია ერთსულოვნად ემზადებოდა მისალმებოდა პლენანოვს ემიგრაციიდან დაბრუნების შემდეგ. მით უმეტეს, რომ შვეიცარიიდან საფრანგეთ-ინგლისის გზით წამოსვლით მან ამ მრავალრიცხოვან თათბირსაც მოუსწრო.

მაგრამ პლენანოვი სულ არ ჰგავდა შინ დაბრუნებულს. როგორც ენევაში არ იკარებდა „უბრალო ხალხს“ ტუხეთის ემი-

გრაციიდან და პირველ რიგში, იქაურ და, საერთოდ, ყველა ქვეყნის მეცნიერებთან მეგობრობდა, „პროფესორობდა“. დამატებით გალდავას მოსწრებული თქმით; ისევე აქაც, თათბირზე რომელსაც მუშები და სოფლელი ჯარისკაცები ესწრებოდნენ, სადაც მათს ბედ-იღბალზე იყო საუბარი, ის მართო კი არ გამოცხადდა. რათა უკეთ შერწყმოდა მთელი აუდიტორიის სულისკვეთებას; როგორც ყოველი სხვა შინ დაბრუნებული იქცეოდა, არამედ ტრიბუნაზე თან ამოიყვანა (აღბათ, ევროპიდანაც თან წამოყვანილი) ფრანგი და ინგლისელი „კოლეგები“ — სოციალისტები, როგორც პრეზიდენტმა აცნობა აუდიტორიას, როცა პლენარის დანახვით ატეხილი ტაშის გრიალი შეწყდა და ოვაციების ხმაური ცოტა შენედა.

საფრანგეთის ხსენებაზე აუდიტორიაში, აქა-იქ „მარსელიეზა“ გაისმა და მთელ აუდიტორიას მოედო, რადგან იმ დღეს განწყობილება საზეიმო იყო. ამის გაგონებაზე პლენარის იმწამსვე წამოხტა, წმინდა პარიზული გალანტობით, შუაში ჩაუდგა ამ ორ უცხოელს. მათ ორივე ხელი გაუწოდა და ეს შეერთებული ხელები მაღლა ატყორცნა. და ასე მაღლა აწეული, მაგრად შეკრული ხელების განუწყვეტელი რხევით ისმინეს სამივემ ეს ფრანგების ჰიმნი, წმინდა „ფრანგული“ მანერის მიხედვით. „სუმთლა გაფრანცუზებულაო ეს ჩვენი პლენარის“, გადაულაპარაკა ამის გამო ჩხვიდემ ირაკლი წერეთელს. და ის მართლაც ასე გამოიყურებოდა იმ დღეს.

„მარსელიეზას“ ინტერნაციონალის შესრულება მოჰყვა. ის სამეული კი ასევე სიმბოლურად ხელებშეკრული და ხელებ-აწეული იდგა, საუკეთესოდ გამოწყობილი, ამ მრავალტანჯული, წმინდა პროლეტარული აუდიტორიის წინ... როგორი კონტრასტული იყო, როგორ არ ჰგავდა ყოველივე ეს ლენინისებურ უბრალოებას!

მერე პლენარის თავის გამოსვლაში თვითონვე „სოციალიზმის ქრისტე“ უწოდა თავის თავს (!), თუმცა მათს პარტიის იმ სახელს მარქსს აკუთვნებდნენ. როცა ამის შემდეგ ირაკლი წერეთელი გამოვიდა და პლენარის გამოსვლა დაახასიათა, როგორც „Слова нашего учителя“, თვით წერეთელს ვილაყამ იმ თათბირის მონაწილეთაგან „იოანე მოციქული“ უწოდა, მით უფრო, რომ გაზეთებში იმ დღეს დაბეჭდილ პრეზიდენტის

ფოტოსურათზე ის და პლენხანოვი მართლა ისე ისხდნენ, როგორც ქრისტე და მის მხარზე მიყრდნობილი, ახალგაზრდა იოანე ლეონარდო და ვინჩის „საიდუმლო სერობაში“
ისევ ლენინთან შეხვედრის აღწერას დავუბრუნდეთ. თანვესულები
ლად შეიძლება ვთქვათ, რომ ეს იყო ხალხის გულის ფეთქვა, მისი სულის ამოფრქვევა, რაღაც გრიგალისებური, რაც იმ დამეს პირველად ვნახე. და ჩემთვის იმ დამის მოზღვავებული ბედნიერების და რაღაც შეუცნობელი, ცაში ამტაცი სიხარულის წუთები ასეთი ძალით უკვე აღარ განმეორებულა. სამი აპრილის დამე ჩემთვის დაუვიწყარია.

ჩვენ აღრე მივედით სკობელევის მანქანით და ყოფილი მთავრობის ოთახების გზით პირდაპირ ბაქანზე გავედით, სადაც სადგურის უფროსი უკვე მიუთითებდა ჩხეიძეს, სად სჯობდა დადგომა, ჩვენთვის საინტერესო მატარებლის ვაგონის უკეთ შესახვედრად. სადაც დაგვაყენეს, მაგრამ ამ დროს მეორე მხრის კარიდან ჩვენსკენ წამოვიდა დარბაზიდან აშკარად ძალით გამოღწეული ხალხის ნიაღვარი: მეზღვაურები, აალებული ჩირაღდნებით, მუშები, ჯარისკაცები... იმ ტალღამ ჩვენი ჯგუფიც შთანთქა. ყველაფერი აირია, და ერთმანეთი დავკარგეთ. ამ დროს მატარებელიც გამოჩნდა, უკვე სულ ახლოს, და მოადგა ბაქანს. იმ ხალხის ტალღამ, თითქოს ერთ არსებად ქცეულიყოს, რაღაც დაიძახა და უეცრად სადაც მარცხნივ გაიქცა, მატარებლის წინა ნაწილისაკენ. ჩვენც თან წაგვლეკა და პირდაპირ იმ ვაგონის კიბესთან მიგვტყორცნა (სხვა სიტყვა ვერ მიპოვნია), რომელზედაც უკვე გამოსული იყო ლენინი, ბაქანზე ჩამოსახტომად...

მის დანახვაზე უკვე ყველაფერი ამოძრავდა, სიხარულის ზღვად იქცა და იმ წუთებიდან ყველაფერი ისე აირია, რომ მე გადაბმულად გადმოცემა არ შემეძლია. ლენინი ხელში აიტაცეს და საითღაც წაიყვანეს, თურმე ისინი მოედნიდან შემოეგზავნა ხალხს, ლენინი პირდაპირ ჩვენთან გამოიყვანეთო. და ახლა ამას ასრულებდნენ. ჩვენ კი უკან მივდევდით.

თურმე, მოედანზე მდგარი ჯავშნოსანისაკენ მივრბოდით, იქ მიჰყავდათ ლენინი კრონშტადტის მეზღვაურებს და ორ-სამ ჯარისკაცს. მეც მათ უკან მივდევდი, რომ ლენინის ყოველი სიტყვა გამეგონა.

უცებ ლენინი ჯავშნოსანის კოშკზე აღმოჩნდა; ჩირალდანი მც-
ეცათ ხელში, რათა ხალხს ის ამ შუალამისას შორიდანაც და-
ენახა.

ეს ჩირალდანი მან მალლა ასწია და ისე მიესალმა სადგური-
წინა მოედნის ცოცხალ ზღვას.

რა ატყდა ამის საპასუხოდ! რა აღტაცება და შეძახილები, რა
სიხარულის გრიგალი! კინალამ დაეცურუვდით.

ლენინმა თავისი ჩირალდანი დაბლა მდგომთ გადააწოდა და
განთავისუფლებული ხელი მალლა ასწია ჰაერში: — მინდა გე-
საუბროთ, დაწყნარდითო!

რა სულგანაბული უსმენდა ყველა, როგორც კი ლენინმა თავ-
ვისი მისალმების პირველი სიტყვებით მიმართა მის წინ გა-
დაშლილ ცოცხალ სტიქიონს. აუწერელია ამ უეცრად დამყა-
რებული, ჩამოწოლილი სიჩუმით წარმოქმნილი შთაბეჭდილე-
ბა და შემდეგ ლენინის უკვდავი გამოსვლით ანთებული გუ-
ლების გრიალი, განსაკუთრებით მაშინ, როცა მან დასასრულ
წამოიძახა: გაუმარჯოს სოციალისტურ რევოლუციასო!...

მართლაც რომ უკვდავია იმ ნახევარსაათის ყოველი წუთი, წა-
მი. ყოველი სიტყვა!

ასე დაუბრუნდა ყოფილ მეფის რუსეთს ლენინი, რათა გადა-
ექცია იგი მსოფლიოში პირველ სოციალისტურ სახელმ-
წიფოდ.

* * *

თუ არ ვცდები, ღამის პირველ საათზე მეტი იქნებოდა, ჩვენ
რომ დავიშალეთ ფინეთის სადგურიდან, და ისე, რომ ერთი-
მეორე ვერ მოვნახეთ. ამიტომ შინ მე და თამარი ცალ-ცალკე
დავბრუნდით, ჩვენ ჩვენს სართულზე და ისიც ფეხით, რადგან
ჩვენს მანქანიან თანამგზავრებს მეზღვაურთა ტალღამ ჰერ კი-
დეგ მატარებლის გაჩერებამდე ჩამოგვაშორა.

მე და თამარმა ერთი-მეორე დავკარგეთ, იქვე, ვაგონის კიბეს-
თან; რადგან სწორედ იმ წუთში ლენინის უკან გამოჩნდა ვაგო-
ნის კიბეზე ჩამომავალი, ძალიან აღელვებული მიხა ცხაკაია,
ჩვენი ძველი ნაცნობი ქუთაისიდან, ერთ დროს ქუთაისის ქალ-
თა წრის სტაპენდიანტიც.

ისე გამოაცხადა მისმა დანახვამ. რომ ამ საყოველთაო ურჩიანულში მეც ავეყვირდი: „— ბატონო მისა! თქვენც აქ?! ვლადიმერ ილიჩთან ერთად?!“. ამ ჩემმა სულელურმა შეკითხვებმა დაიწყო ლიან გაამხიარულა— „ნიკოს ქალიშვილი ხომ არე ბარბიჭი?“ შეწყვიტა ის, წმინდა ჯიხაიშურად, რითაც უზომოდ გამახარა.

— ჩამამეწი სტოკჰოლმში დავტოვეთ და დამაბარა, თუ ჩემი გიჟი ქალი დაგხვდეთ სადგურზე, უთხარი, რომ კიდევ ცოტა დამავგიანდება, მაგრამ ყველაფერი კარგად მიდისო. „ოპ ბეკებო, გამარჯობა“, უცებ დამივიწყა მან, რადგან ნაცნობები დაინახა და მათთან ერთად სადგურის მოედნისაკენ გასწია, საითაც ლენინიც მიჰყავდათ. მეც მათ დავედევნე.

დავბრუნდით თუ არა შინ მე და თამარი, ტელეფონმა დარეკა. ირაკლი წერეთელი იყო, დიდად შეწუხებული იმის გამო, რომ ჩვენ მას „დავეკარგეთ“. თან შეგვატყობინა, რომ მეორე დღეს სასახლეში გამოვცხადებულყავით.

მეორე დღეს თავრიდის სასახლეში ლენინი უნდა მოსულიყო და. მართლაც, ზუსტად დანიშნულ დროს შემოაბიჯა ლენინმა თავრიდის სასახლის სვეტებიან დარბაზში, სადაც „მარცხენა ფრთის“ წარმომადგენელი შემოსავალ კართან ელოდნენ. ჩვენ კი, სასახლის ჭიანჭველები, ჩვენს ბუდრუგანებთან ვიყავით მიბუზულები და იქიდან თვალს არ ვაშორებდით კარებს, რომ ძვირფასი სტუმრის გამოცხადების არც ერთი წუთი არ გამოგვრჩენოდა. და აი, შემოვიდა იგი მომცილებლებთან ერთად. ყველა შემხვედრ „ისპოლკომელებს“ მისებურ გულლიად ჩამოართვა ხელი; ირაკლი წერეთელს, მისალმებისას რაღაც უთხრა ჟენევაზე, მაშასადამე, იცნო. და არა მარტო ის, არამედ — ეს კი ჩემთვის სრულიად მოულოდნელი იყო, — მეც მიცნო! როდესაც კარლო ჩხეიძემ იგი ბუდრუგანებთან მოიყვანა, სასახლის შემოტარების დროს და ჩვენზე მიუთითა (მის შესახვედრად თავმოყრილ ტელეფონელთა ჯგუფზე), განმარტებით:

— Вот это — Ваш будущий телефон, Владимир Ильич, а это наши телефонистки.

ლენინი ჯერ ყველას ერთად, მისებურ მზიანად მოგვესალმა, საერთო თვალის გადმოვლებით. მერე უეცრად მე მომაცქერ-

და; ღელვისაგან ყველაზე უკან მიმალულს, ხელი გამოიწია და, ღიმილით და ნახევარ შეკითხვით:

— Мы, кажется встречались?

— Неужели Вы...



დავიწყე მე გაცემით, მაგრამ მან, მისებურ — ელვისებურად ირაკლის შეხედა და ისევ მე მომიბრუნდა:

— В Женева...

სიტყვები არ მეყოფა ჩემი ბედნიერების და გაცემის ასაწერად. მთელი ის დღე გიჟივით დავდიოდი. მით უმეტეს, რომ ჩხეიძემ მას ჩემი თავი კიდევ დამატებით წარუდგინა:

— А это наша старшая телефонистка ...

იმ დღეს ბევრი გვარბენინა იმ ჩვენმა ძვირფასმა ელსმენმა. რადგან თუმცა წინა ღამეს ჩხეიძემ დახურა საბჭოების სრულიად რუსეთის თათბირი, მაგრამ აბა რა დაშლიდა დეპუტატებს, როცა ჩხეიძემ მათ აქვე აცნობა, რომ „ორი საათის შემდეგ ლენინი ჩამოდისო“.

თათბირის მონაწილენი, რა თქმა უნდა, სადგურზე გაეშურნენ ლენინის შესახვედრად. მეორე დღეს კი დილიდანვე ისევ აავსეს სასახლე, როგორც წინა დღეებში, თითქოს თათბირი გრძელდებოდა; ან უფრო სწორად რომ ვთქვათ, თითქოს თათბირი გაძლიერებულიყო, მრავალჯერ უფრო გაღრმავებულიყო.

საკმარისია ვთქვათ, რომ იმ ისტორიულ დღეს თავრიდის სასახლის „ძირიან-ფესვიანი შერყევისა“, ლენინი არა ერთგზის გამოვიდა სიტყვით თუ მოხსენებით, სხვადასხვა მასშტაბის დანიშნულების თათბირებზე: დილით — იმ თათბირის მარტო ბოლშევიკური ფრაქციის წევრებს შეხვდა. სპეციალურ, იზოლირებულ ოთახში ჩაიკეტნენ, ორი თუ სამი საათით. და ჩვენ ბუდრუგანას აეკრძალა მათგან ვისიმეს გამოძახება, სანამ თათბირი არ დამთავრდებოდა. იქ ლენინმა წაიკითხა მოხსენება, რომელშიც გამოაქვეყნა და განმარტა თავისი ცნობილი თეზისები რევოლუციური პროლეტარიატის ამოცანებზე (აპრილის თეზისები).

იქიდან, მცირე შესვენების შემდეგ, იქ გარჩეული თეზისებში, სათანადო სიტყვით, ლენინმა გაუმეორა უკვე სრულ შემადგენლობას წინა ღამეს „დახურული“ თათბირისა, ე. ი. ბოლშე-

ვიკებისა და მენშევიკების გაერთიანებულ სხდომაზე. ეს უკვე სასხდომო დარბაზში ჩატარდა და იქიდან ტელეფონზე გამოქაზება ნებადართული გვექონდა. საკმაოდ ხშირადაც ვწუხვდნენ იმ დღეს პრეზიდენტის წევრებს, რეკავდნენ სხვა ქალებიდანაც. განსაკუთრებით მეზღვაურები კრონშტადტიდან, სადაც ყველა მატროსი მგრძნებარე ლენინელი იყო. „ლენინი ჩვენია“, „ჩვენი ლენინი“, ხშირად გაიგონებდით მათ წრეში. და ლენინს ეს შემოგებება აშკარად ახარებდა, გულს უმზიანებდა, ამდენი წლის თავგანწირვის შავ დღეებს უნახლავრებდა.


ჩვენ კი (მე და თამროს), სამუდამოდ გულში დაგვრჩა თბილი გრძნობა ამ მრავალტანჯული, მაგრამ ასეთი მზიანი ბუნების საზღვაო „დაბალი ჩინების“ ე. ი. მატროსების მიმართ, რომელთაც მათი ადრინდელი უფროსები матросня-ს დამამცირებელი სახელით ახსენებდნენ, თითონვე მეტწილად უვარგისნი და უმაქნისნი.

კრონშტადტის მატროსები მთელი დღე დაყინებით თავისთან იხმობდნენ ლენინს, ელსმენით, პირველივე დილიდან. და მართლაც, სულ მოკლე ხანში, ლენინი მათაც ესტუმრა. და იმ პირველ მისვლაზე იგი სამი დღით წაართვა „ზღვამ“ პეტროვრადს.

ჩამოსვლის პირველი წუთებიდანვე ლენინმა ზუსტად განსაზღვრა გეზი, რომლითაც უნდა წარმართულიყო მოვლენათა მსვლელობა.

არა მარტო მუშები, გლეხებიც უმალ მიხვდნენ, საით იყო სიმაართლე (დემობილიზებული ჯარისკაცთა უმრავლესობა ხომ გლეხები იყვნენ, სოფლის მშრომელთა წარმომადგენლები). რაოდენ ღრმა ფესვები აღმოაჩნდა ამ მხრივ სოფლის ყამირში ლენინის ძველ, „ისკრის“-დროინდელ შედეგს, „სოფლის დარბებებისადმი“, ჩვენ რომ გვაჩუქა ქენევაში. ახლა ჩვენთვისაც ნათელი ხდებოდა, თუ რამდენად შორსმჭვრეტე ყოფილა იმ წიგნაკის ავტორი! ახლა აქ, ნევას ნაპირებზე, ლენინის ჩამოსვლის დღიდან, ყველაფერი თავთავის ადგილზე დგებოდა.

ახლა ჩვენც, მანამდე ბრმა „ტელეფონელები“ მივხვდით, თუ როგორ სააშკარაოზე გამოიყვანა „ოთხი აპრილის დღემ“ თავრიდის სასახლის „მარცხენა ფრთა“. თუ ის თებერვლიდან შე-



ვარდნის თუ მერცხლის ფრთად მიგვაჩნდა, აპრილიდან, ლენინის თეზისების შემდეგ, ყორნის კიდურად მოგვეჩვენა მრავალი მიზეზი ჰქონდა და მათ შორის ერთი უმთავრესი განი იყო, რომ ეს „მარცხენა ფრთა“ ომზე ხელის აღებას არ აპირებდა.

დაუვიწყარი დღეები, როცა შესაძლებლობა გვქონდა ახლოს გვენახა ლენინი, გაგრძელდა 3 აპრილიდან 15 ივნისამდე. შუა ივნისიდან კი მთელი ჩვენი „ქვემო სართული“ ჯიხაიშისაკენ დაიძრა. მე და მიხეილს აგვისტომდე ელენახვოდსკში მოგვიხდა დარჩენა და ჩვენებს მერე შევუერთდით. გადაწყვეტილი გვქონდა, რომ ორ თვენახევრის შემდეგ, სასწავლო წლის დასაწყისისათვის პეტროგრადში უნდა დავბრუნებულიყავით, მაგრამ სულ მალე ყველა რკინიგზა (და მრავალი დაწესებულება) გაიფიცა, ყველაფერი აირ-დაირია და მე, სწავლის დასაწყისისათვის კი არა, ოქტომბერშიც ვერ გავბედე პატარა ზავშვით ხელში (ჯერ ორი წლისაც არ იყო) მარტოდმარტო გავმგზავრებულიყავი ამხელა გზაზე, რომელსაც მაშინ ორ-სამ თვეს უნდებოდნენ. ეს მე კარგად ვიცოდი თვით მიხეილისაგანაც, რომელიც უბავშვოდაც საკმაოდ გაიტანჯა, მარტოხელა კაცი, რათა სასწავლო წლის დასაწყისისათვის მიესწრო.

თავრიდის სასახლიდან სმოლნის სასახლეშიც უჩემოდ და უთამაროდ გადავიდა ჩვენი ტელეფონელების ჯგუფი. 1917 წლის რევოლუციის შემსწავლელი საზოგადოების ჩვენი „თავრიდული სექციაც“, იმავე მიხეილის თავმჯდომარეობით, „სამხედრო სექციად“ იქცა და შემდეგ ყაზარმებში გადაიტანა თავისი მოღვაწეობა. ჩვენს ნაცვლად სხვა მდივნები მიიწვიეს.

მთელ ამ ამბებს მიხეილი ჯიხაიშში დაწვრილებით გვატყობინებდა, საკმაოდ საინტერესო (და ძნელად დასაჯერებელი) გზით, ვინაიდან საფოსტო კავშირი საქართველოსთან დროებით შეწყვეტილი იყო: მისი წერილები კიროვს ჩამოჰქონდა, რომელსაც იმყამად ხშირად უხდებოდა ამიერკავკასიაში ჩამოსვლა.

ახლა კი ისევ „თავრიდის დღეებს“ დავუბრუნდეთ. თავრიდის სასახლეში უცნაური ამბები ხდებოდა. მარჯვენა ფრთას რეგენტზე ფიქრი არ ასვენებდა. იმ წელს ჯერ არ ვიყავით ახალ სტილზე გადასული და ამიტომ ჩვენს პირველ თავისუფალ

პირველ მაისს, სხვა ქვეყნებში ახალი სტილით რომ აღინიშნებოდა, ჩვენ ისევ 18 აპრილს ვხვდებოდით, ჩვენი ვერ შეუსწორებელი კალენდრით. ე. ი. ზუსტად „მეორე სწორზე“ ლენინის თეზისებისა (4. IV—18. IV). იმ ხანებში, სამაჩხაოში მით შეშინებულმა მრლიუკოვმა ისევ განაახლა ჩვენი კლად აუხდენელი, გარემოს გაუთვალისწინებლად დაწყებული ცდები რეგენტის შემოპარებისა ხან ერთი, ხან მეორე გზით. და ახლა ეს მოთხოვნა მას და მის მომხრეებს, მართლაც „დროებით“ მთავრობას ერთ-ერთ საპირველმაისო მოწოდებად ჰქონდათ ქცეული, ვითომ და მომავალ დამფუძნებელ კრებაზე გამოსატანადო. ამ ამბავმა ძლიერი აღშფოთება გამოიწვია. რომლის მოწმენი ჩვენც ვიყავით, ტრადიციულ წინა-საპირველმაისო გრანდიოზულ შეკრებაზე, რომელიც იმ წელს ვასილის კუნძულზე ჩატარდა, საზღვაო კორპუსის გიგანტურ სააქტო დარბაზში. მე და თამარი ამ შეკრებას ვესწრებოდით ასეთი სპეციალური საშვებით: Пропустить на хоры в Морской корпус. 16. IV. 17.

ბილეთები კი გვქონდა, ჩვენ და ერთ-ორ ჩვენს ტელეფონელს, მაგრამ ვინ შეგვიშვა იმ დარბაზის კიბეზედაც, არამც თუ თვით დარბაზში, იმდენი ხალხი მოაწვა ქუჩიდან შესავალ კარს (პრეზიდენტი წევრები სხვა კარით შედიოდნენ). თამრო უკვე მეხვეწებოდა, შინ წავიდეთ, ხომ ხედავ, რა ხდებაო. მაგრამ მე არ ვკარგავდი იმედს, რომ ვინმე დაგვეხმარებოდა. და არც შევცდი: უეცრად გაისმა ჩვენი კრონშტადტელი მეზღვაურების (და ჩვენიც ფოთში) სპეცარელი სიმღერა:

Нелюдимо наше море,

День и ночь шумит оно,

მალე გამოჩნდნენ თვით შემსრულებლებიც. ჩვენდა სასიხარულოდ, მათაც გვიცვენეს, ძალიან გულთბილად მოგვესალმნენ და როცა გაიგეს, რაში იყო საქმე, დაიძახეს:

— А ну, товарищи, расступись, дорогу морякам и Грузин!

და ვერც მე, ვერც თამრომ ვერ მოვასწარით გარკვევა, რა ხდებოდა, რომ ორივენი აღმოვჩნდით მეზღვაურების მხრებზე და სამ წუთში უკვე სააქტო დარბაზის პარტერის ზღვას დავყურებდით, მისი ქანდარის საუკეთესო ადგილებიდან. აქ მეზღვაურები იყვნენ მასპინძლები და ძალიან შეეცადნენ ჩვენგან

ტელეფონებზე მიღებული ყურადღების სამაგიერო ვადაცხა-
დათ. აქვე გამომეცნაურა ის ყმაწვილი, რომელსაც ფინეთის
სადგურზე კინალამ ცეცხლი წავუკიდე ჩირალდნით ლენინის
შეხვედრის დღეს. მან ბევრი გვაცინა მე და თამრო ჯერ იმ
ჩირალდნის ამბით, შემდეგ კი როცა აგვიხსნა, როგორ გაეჩინა
დით მათ მხრებზე: თურმე როცა ამხანაგებმა მისცეს ნიშანი
ჩვენი დახმარებისა, მათ, სწორედ ისე აგვიტაცეს იატაკიდან
და აგვისროლეს თავიანთი ამხანაგების მხრებზე, როგორც...
წყლით სავსე კასრები აჰქონდათ გემის ანძებზე, წვეთის და-
უღვრელად, იალქნებამდე, გემბანის რეცხვა-წმენდის საა-
თებში...

უნდა გამოვტყდე, რომ ჩვენი ქანდარა იმ ღამეს თითქოს არც
კი დასწრებია იმ ძლიერ ცხარედ და მღელვარედ ჩატარებულ
სხდომას. და ამისი მიზეზი ის იყო, რომ პასუხად აუდიტორი-
ის მოთხოვნისა: „პირველი სიტყვა ილიჩსო“, ვილაცამ პრეზი-
დიუმიდან ამოსძახა მეზღვაურებს: — დღეს მას სხვაგან ის-
მენნო...

ლენინი, თურმე, იმავე საათებში ჩვენს სასახლეში გამოდიოდა
მოხსენებით ომის საკითხებზე, ე. ი. მის საწინააღმდეგოდ.
ჩვენ კი, ისევე, როგორც მეზღვაურებიც, სწორედ ლენინის
მოსასმენად მოვისწრაფოდით აქეთ. როცა გავიგეთ, ლენინი
სხდომას არ ესწრებო, თითქმის სულ გამოვირთეთ იმ ამბე-
ბისგან, რომლებიც ჩვენს დაბლა, დარბაზში ხდებოდა. მე და
თამრო ვუამბობდით მატროსებს ყველაფერს, რაც ვიცოდით
ლენინზე ჯერ ისევ უენევიდან. ისინი კი კრონშტადტში ლენინ-
თან შეხვედრაზე მოგვითხრობდნენ.

მარტო საუკეთესო ორატორების გამოსვლების დროს ვწყვეტ-
დით ცოტა ხნით ჩვენს საუბარს და ქვემოთ გადაგვქონდა ყუ-
რადღება. მაგრამ იმ დღის გამოსვლებიდან რატომღაც არც
ერთი არ გამოჩნეულა რითიმე, რომ დახსომებოდა მსმენელს.
ყველაფერი უფერულად გვეჩვენებოდა იმ საღამოს, თვით
ირაკლისთანა ბრწყინვალე მოპაექრის პირიდანაც კი. ალბათ
იმიტომ, რომ ასეთი ტანჯვით აქ მოხვედრილებს იმ მიზნით,
რომ ლენინი მოგვესმინა, რაში დაგვანტერესებდა რალაც სი-
გიჟე რეგენტის მოწვევისა და რომანოვების უკან დაბრუნების
შესახებ. ან კიდევ ის, რომ აქ გამოსული ორატორები დიდის

ამბით ამტკიცებდნენ ამის მიუღებლობას და ამას ყოველმხრივ უსაბუთებდნენ ადამიანებს, ვინც მეფის ტახტი დაამხო; და ისიც პირველ თავისუფალ საპირველმანისო შეკრებებზე — В открытую дверь ломаются! — ღია კარებს ამტკიცებდნენ მოკლედ შეაფასეს კრონშტადტელებმა ის საღამო.

თვალისთვის კი დაუფიწყარ სურათს წარმოადგენდა საზღვაო კორპუსის ეს განთქმული დარბაზი ვასილის კუნძულის სანაპიროზე, რომლის ქანდარიდან დაეყურებდით იმ საღამოს თავრიდის სასახლის „მარცხენა ფრთის“ მრავალრიცხოვან, ძლიერ მგზნებარედ მიმდინარე შეკრებას. მაგრამ ეს ვაცხარება და „პიმპილი“, როგორც აკაკის უყვარდა ამ სიტყვის „გაიმერლება“, იმ საღამოს ჩვენამდე ქანდარაზე ვერ აღწევდა, რადგან, თვით საგანი ამ კამათისა და ვაცხარების „უფხო“ და „უმარილო“ იყო ჩვენთვის, იმავე ჩვენი მამების ტერმინოლოგიით. ამიტომ ჩვენ იმ სხდომის ცოცხალ ზღვას და მათ მქადაგებლებს ზემოდან თუმცა კი დაეყურებდით გამოსულების ვინაობის შესაცნობად, მაგრამ ყურს თითქმის არ ვუგდებდით. არც ომის თუ ზავის საკითხის ირგვლივ ატეხილ დავას, არც, მით უმეტეს, რეგენტის სახით რომანოვების უკან შემოპარების დაუშვებლობის მტკიცებას.

მთელ იმ საღამოს, მას შემდეგ, რაც პრეზიდენტიდან მიღებული რეპლიკის შემდეგ კრონშტადტელებმა საიდანღაც ტელეფონით შეიტყვეს, თუ სად იყო ილიჩი და სად ტარდებოდა ის მათთვისაც კი კარჩაკეტილი შეკრება, ყოველი ჩვენგანის გულიც, აზრიც, ფიქრიც, სხვაგან იყო. იქ, სადაც ლენინი მოუწოდებდა ხალხს იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ.

აქ კი, ჩვენს ქვემოთ, იმავე წუთებში, ცდილობდნენ სულ სხვაგზით წარემართათ მსმენელთა აზრი. ტრიბუნასთან აფრიალებულ დროშებზე ეწერა: Помните войну. Без победы нет свободы. და ამავეს მოითხოვდნენ იმ საღამოს ორატორებიც...

ასე შევხვდით იმ წელს „პირველ თავისუფალ პირველ მაისს“ „ახლად განთავისუფლებულ რუსეთში“, როგორც მაშინ წერდნენ ყველა გაზეთში.

ცუდი საქმე უქნა იმ დღემ მილიუკოვის ჭკუაზე ამოქმედებულ დროებით მთავრობას. ჯერ კიდევ ორ და სამ მარტს, დილიდან

რა ამბავი დატრიალდა მუშათა უბნებშიც, ყაზარმებშიც. როდესაც ეს მთავრობა პირველად გამოიყო (დღისით) და სალამოს გაზეთებში მილიუკოვის „საპროგრამო“ სიტყვა გამოქვეყნდა, კიდევ კარგი, რომ სამ მარტს მეფის გადადგომის მიხეილის უარიც თან მოჰყვა ტახტისადმი რაიმე პრეტენზიებზე. ამან შესამჩნევად დაამშვიდა სასახლესთან სამი საათისათვის მოზღვავებულ მუშათა და ჯარისკაცთა ცოცხალი ნიაღვარი, ზღვა...

ნუთუ იმ ამბებმა, ვულკანის ამოფრქვევის წინა წუთების იმ დაძაბულობამ, რომელიც დედაქალაქის მთელ მილიონიან მოსახლეობას და შეიარაღებულ ჯარებს მოედო, სულ ვერაფერი ასწავლეს ამ ყალბ სახელს ამოფარებულ «Народная Свобода»-ს პარტიას?? როგორ გვძულდა ჩვენ ისინი, მათსავე გაზეთთან ერთად, რომელსაც სახელიც ასეთი უაზრო ერქვა: «Речь!» რომელი მნიშვნელობაც არ უნდა მიგვეწერა სამიდან — მეტყველება, ენა თუ წარმოქმნილი სიტყვა. სულ ერთია, გაზეთისათვის ასეთი სახელის შიკემა ისევე უადგილო იყო, როგორც 27 თებერვლიდან მესამე დღეს რეგენტის და თუნდაც „საკონსტიტუციო“, მაგრამ მაინც მონარქიის მოთხოვნა.

ამ მოგონებებს რომ ვწერდი, გადავიკითხე ჩემი იმდროინდელი დღიური, და იქ, 2 მარტის ფურცელზე ასეთი ახალგაზრდულად მეტიჩრული შენიშვნა შემხვდა და გამაცინა. თურმე მაშინ ჩამიწერია: „გუშინ სალამოს გამოვიდა „იხვესტია“ № 6. სალამოს გამოშვება, მილიუკოვის საპროგრამო სიტყვით (ისევ მონარქია, მემკვიდრე, რეგენტი). თუ ეს გადმომცემის დამახინჯებული არ არის, მამასადამე, ჩვენი პრემიერი... კრეტინი ყოფილა! წარმოდგენილი მაქვს, ბიუკენენი რა გახარებული იქნება, რომ ჩვენ ასეთი იდიოტი მოგვიწვევია საგარეო საქმეთა მინისტრად“ (ბიუკენენი ინგლისის ელჩი იყო რუსეთში, თავის მთავრობასთან ერთად თავზარდაცემული იმ რევოლუციით, რომელიც რუსეთში იწყებოდა).

მას აქეთ თვენახევარი იყო გასული, და მთელ ამ მანძილზე არა მარტო ყოველი ახალი დღე, ყოველი საათიც კი უფრო და უფრო წარმოუდგენლად და შეუძლებლად ხდოდა მონარქიის აღდგენაზე ფიქრს. მაშ ახლა რა ღმერთი უწყობოდა ამ

პროფესორ-მინისტრს, და ისიც სწორედ რუსეთის ისტორიის სპეციალისტს იგივე მოთხოვნები ამ „უდროო“ მთავრობას („ბეზრემენოევის“ რომ ეძახდნენ) თურმე თავის საპირველმაისო ნოტაში შეეტანა, რომლის გაცნობამ ყალყნე ამართა მთელი ქვეყანა! და ჩვენთან ისეთი დუღილი დაიწყო, რომ ყველაფერი აირია. და იმდენად, რომ საპირველმაისო აღლუმის ჩატარებაც კი ცოტათიღა გამოირჩა 23 მარტის დღისაგან, იმავე მარტის მოედანზე. 19 აპრილიდან კი მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოებში და ჩვენს მარცხენა ფრთაში მოთავსებულ მათ აღმასკომში ისეთი დუღილი დაიწყო, რომ მილიუკოვის მთავრობამ 21 აპრილს „შესწორება“ დაურთო თავის უიღბლო „ნოტას“. მაგრამ ვერც ამან უშველა და 22—23 აპრილს კი ქალაქში „რევოლუციური სააღყო წესები“ იყო გამოცხადებული, იმის მაგიერ, რომ 22 აპრილს „პრავდას“ პირველი ნომრის გამოსვლის ხუთი წლის იუბილე გადაეხადათ (1912—22 IV—1917) როგორც ჩვენ ეს აღვნიშნეთ შინაურულად, „რევოლუციის საზოგადოებაში“.

მთელ ამ ამბებს თავრიდის სასახლიდან გამოხიზნული მარჯვენა ფრთა ლენინის ჩამოსვლას აწერდა. და არც სცდებოდა. ლენინმა საოცარი ძალით აუხილა თვალები მშრომელთა ყველა ფენას — სოფელს და ქალაქს, ზღვასა და ხმელეთს, ორ მარტს გამოყოფილი მთავრობის ნამდვილ ბუნებაზე და ქეშმარიტ მიზნებზე.

ლენინმა, საერთოდ, საოცარი სისწრაფით იცოდა ურთულეს მდგომარეობაში გარკვევა და მთავარი ღერძის გამოყოფა ყოველგვარი დაქსაქსულობის დროსაც კი. და ყველა ამას გრძნობდა, მტერიც კი, რომელსაც ეს სულაც არ აწყობდა და, რა თქმა უნდა, მოყვარეც, რომელიც მას საკუთარ თავზე უფრო ენდობოდა და არც სცდებოდა.

მისი გავლენა ხალხზე უსაზღვრო იყო. და, ამავე დროს, ისეთ უშუალო ხასიათს ატარებდა და ისეთი კეთილმოსურნე ბუნების იყო, რომ ხშირად გვავიწყდებოდა, რა მსოფლიო სიდიდესთან გვქონდა საქმე და მას ყველა ჩვენს დარდს და სიხარულს ვუზიარებდით, როგორც კი ის თავისებური მზიანობით

ჩვენც შემოგვხედავდა, ჩვენთან გავლის დროს და შევეკითხებოდა:

— Ну, а как здесь дела у наших юных помощников? ან კიდევ:

— Ну, как наше море? ე. ი. რა ისმის კონსტანტინოპოლში? მას საოცარი მეხსიერება ჰქონდა და არაჩვეულებრივი უნარი ერთმანეთისაგან სავსებით დაშორებული ფაქტების დაახლოებისა, შეპირისპირებისა და აქედან სრულიად ზუსტი დასკვნების გამოყვანისა. წარმოუდგენელი მასშტაბის კონტრასტებს ძიმართავდა იგი ამისათვის ისტორიიდანაც, რომელიც მისთვის ისეთივე „ყოველდღიური“ მასალა იყო საუბრისა, როგორც ჩვენთვის ათამდე თვლა.

ასე ახასიათებდა ლენინის პოლემიკას და მისი დიალექტიკური აზროვნების „უჩვეულოდ გაბედულ თავისთავადობას“ ნიკოლოზ მოროზოვი (1854—1946), რევოლუციური მოძრაობის უაღრესად აქტიური მოღვაწე დაწყებული 70-იანი წლებიდან. გამოჩენილი მეცნიერი, საბჭოთა საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრი, თავდადებული მებრძოლი თავისუფლებისათვის.

მინდა ვთქვა ორიოდ სიტყვა მასზე, სანამ მთავარ თემას დავუბრუნდებოდეთ, ვინაიდან იმ აპრილ-მაისში მოროზოვი კვლავ შეხვდა ჩემს დედ-მამას. ისინი ხომ ჯერ ისევ ქენევიდან იყვნენ დაკავშირებულნი ერთმანეთთან. ეს შეხვედრა მოხდა კრებაზე, რომელიც მიეძღვნა მეცნიერების ახალ გზებზე გადასვლის საკითხებს და რომელიც მაქსიმ გორკიმ მოიწვია. ბილეთები მამაჩემმა რედაქციიდან მოიტანა.

ხსენებული სხდომა გორკიმ 9 აპრილს მოაწყო ყოფილ საიმპერატორო თეატრების ე. წ. მიხეილის თეატრში, სადაც ადრე ფრანგული წარმოდგენები იმართებოდა. ეს იყო დამფუძნებელი კრება „ბოზიტიურ მეცნიერებათა ასოციაციისა“. ძირითადი მოხსენებით თვით გორკი გამოვიდა. მან ხაზი გაუსვა მეცნიერების მნიშვნელობას კაცობრიობის წინსვლისათვის, და კერძოდ, ჩვენი ახლად განთავისუფლებული ხალხისათვის, მისი დემოკრატიის შესაიარაღებლად ზუსტი ცოდნით.

მეორე დიდი მოხსენება წაიკითხა ნიკოლოზ სუხანოვმა. მან ილაპარაკა იმაზე, თუ სოციალიზმის პირობებში რა როლი უნ-

და შეესრულებინა მეცნიერებას ხალხის ეკონომიური კეთილ-
დღეობის ამადლებსათვის, რათა ამ გზით უფრო მეტი გასა-
ქანი მისცემოდა სულიერი სიმდიდრეების შექმნას და დაგ-
როვებას.

ეროვნული
ბიბლიოთეკა




ნ. მოროზოვი (1854—1946 წწ.). სურათი გადაღებულია 1875 წელს
შენევაში.

შეკრება მრავალრიცხოვანი იყო, და სულ სხვა შემადგენლო-
ბისა, ვიდრე თავრიდის სასახლეში ვიყავით მიჩვეული. ჭარ-
ბობდა უმაღლესი სკოლების ხალხი, ლექტორებიც; სტუდენ-
ტობაც. მაგრამ ჩვენი ოჯახისათვის ეს კრება სულ სხვა გარე-

მოებამ გააუკვდავა: საღლაც, შუა გზაზე, სხდომის დარბაზი-
 სკენ კიბის თავიდან გავიგონეთ გახარებული წამოძახილი: —
 — Олико, дорогая! და დედაჩემს გზა გადაუღობა ხელეზ-
 გაშლილმა ნიკოლოზ მოროზოვმა, შლისელბურგელმა, რომე-
 ლიც ქართველ სტუდენტ ქალებთან ენევაში იყო დამეგობ-
 რებული, 1870-იან წლებში, თავის დაპატიმრებამდე. თავის
 შესანიშნავ ოთხტომიან მოგონებაში: „ჩემი ცხოვრების მოთ-
 ხრობა“ (ავტორმა იგი შლისელბურგის ციხეში დაწერა), შეე-
 ცარიისადმი მიძღვნილ მეორე წიგნში („თავისუფალი მთე-
 ბი“) იგი დიდი სიყვარულით იგონებს თავის შეხვედრას და
 დამეგობრებას ენევის ახლად გახსნილი უნივერსიტეტის სამ
 ქართველ სტუდენტ ქალთან, რომელთაც ის «очаровательное
 трио»-ს უწოდებს. ესენი იყვნენ კატო ნიკოლაძე, მაშეიკო წე-
 რეთელი და ოლიკო გურამიშვილი. ამ უკანასკნელს იგი უფრო
 ხშირად თავის წიგნში იხსენებს, როგორც «красавица Гура-
 мова»-ს. და აღწერს მის „უპასპორტოდ გამოქცევას“ სახ-
 ლიდან (ეს ამბავი მას არაზუსტად და არეულად აქვს გადმო-
 ცემული, რაც ავტორის რომანტიული განწყობილებით უნდა
 აიხსნას); მერე იგონებს ქართველ ქალიშვილებთან ერთად ასე-
 ლას სალევის მთაზე, მზის ამოსვლის იქ შესახვედრად, დაწე-
 რილებით მოგვითხრობს, როგორ ესწრებოდნენ ისინი შაბა-
 თობით პარიზიდან ემიგრირებული კომუნარების ღია სხდო-
 მებს; ბოლოს მას მოჰყავს თავისი იმდროინდელი მეგობრის,
 ნიკოლოზ საბლინის ზეპირად დახსომებული ლექსი, მიძღვნი-
 ლი ამ „ტრიოსადმი“, გაგზავნილი ბერნიდან ენევაში (ავ-
 ტორგრაფი დაცულია ჩემი მშობლების არქივში). ეს საბლი-
 ნი — ცნობილი „ნაროდოვოლეცი“ იყო. შევეიცარიიდან რუ-
 სეთში დაბრუნების შემდეგ იგი მონაწილეობას ღებულობდა
 ალექსანდრე მეორის მკვლელობის მომზადებაში. 1881 წლის
 3 მარტს, როცა ეჩნდარმებმა მისი დაპატიმრება სცადეს, საბ-
 ლინმა თავი მოიკლა.

დედაჩემთან საბლინიც და მოროზოვიც მეტად თბილად იყვნენ
 ენევაში დამეგობრებულნი, ამიტომ გასაგებია, რომ დე-
 დას ისინი რუსეთშიც სიხარულით ხვდებოდნენ. საბლინი დე-
 დას შეხვედრია დოსტოევსკის დასაფლავებაზე, პეტერბურგში,
 1881 წელს, მეფის მკვლელობის (1 მარტი) და საკუთარი თავის

მოკვლის (3 მარტი) ერთი თვით ადრე, როცა დედა თერგ-
დალეულთა ჯგუფმა პეტერბურგში „მიაველინა“, რათა შეფის
საყვარელი მინისტრისათვის, გრაფ მ. ტ. ლორის-მელიქოვი-
სათვის ეთხოვა, ნიკო ნიკოლაძეს სტავროპოლში გადასახლე-
ბა პეტერბურგით შეუტყვალეთო. მინისტრმა ეს თხოვნა შეგვის-
რულა. იმ შეხვედრისას კი ოლიკოს და საბლინს ისე გახარე-
ბოდათ ერთმანეთის დანახვა, რომ მთელი საათი გატაცებით
ესაუბრათ სადღაც სასაფლაოს მიყრუებულ კუთხეში. ცხა-
დია, რომ ეს არ გამორჩენია ოხრანკის გამჭრიახ თვალს და
მთავრობის მახვილ ყურს: ოლიკო გურამიშვილი დაუყოვნებ-
ლივ დაუბრუნეს მშობლიურ მიწა-წყალს.



მამაჩემის არქივში, თამარ მაქავარიანთან, ინახება მიხეილ
პოლიევქტოვის მიერ ჩაწერილი დედას მოგონება (სიმონ ხუნ-
დაძეს სჭირდებოდა), იმის შესახებ, თუ რა შედეგი მოჰყვა იმ
შეხვედრას და როგორ გადაარჩინა „ჩვენებურმა მინისტრმა“
ლორის-მელიქოვმა დედაჩემი უანდარმთა კლანჭებსა და ნაღდ
ციხეს; დაკმაყოფილდნენ მხოლოდ იმით, რომ იგი „24 საათის
განმავლობაში“ სატახტო ქალაქიდან შინისკენ გადმოასახ-
ლეს.

მაგრამ დაუბრუნდეთ ისევ გორკის საღამოს, და დედას შეხ-
ვედრას მოროზოვთან. მოროზოვს ვიღაც ქალი ახლდა, შესა-
ხედავად მასზე ბევრად უფრო ხნიერი. ეს კი, თურმე, ვერა
ფიგნერი იყო, აგრეთვე შლისელბურგელი, სინამდვილეში თით-
ქმის მისი ტოლი (1852—1942), მაგრამ მასზე ბევრად უფრო
მოტეხილი. მამას იგი დიდის სიხარულით შეეგება, 1873 წელს

ციურისში გაცნობის შემდეგ. და აღარ ვიცი, ვისი პა-
ლით, მაგრამ ჩვენ ექვსს, ე. ი. მე და თამროსაც, ამ ორ შესა-
ნიშნავ წყვილთან ერთად, ექვსადგილიანი ლოჯა გაგვიღეს. და
ის დღე ჩემთვის და თამროსათვის დაუფიწყარ დღესასწაულად
გადაიქცა. ორი რვეული არ ეყოფა იმ ლოჯაში მოსმენილის
და შეტყობილის გადმოცემას.

სულ სხვანაირად დაიწყო და წარიმართა მაისი. ბუნებამ გა-
მოიზაფხულა, და ცხოვრებაც შესამჩნევად გაცხოველდა, თით-
ქოს კიდევ უფრო აჩქარდა და მრავალმხრივი გახდა. დაგ-
ვიმტყიცეს საბოლოოდ მიხეილის პირშმო და გატაცება —
„1917 წლის რევოლუციის შემსწავლელი საზოგადოება“, მისი
„თავრიდის სექციით“, რომელიც მაშინვე, ერთი დღის დაუ-
კარგავად გატაცებით შეუდგა მუშაობას მიხეილის თავმჯდო-
მარეობით. მე და თამროს სამდივნო ნაწილი გვქონდა მონ-
დობილი, „პედაგოგი ქალების“ მთელი შტატით; ამ რთული
წამოწყების „საქმის მწარმოებელი“ კი იყო აკადემიკოს პავ-
ლოვის ვაჟი, თამროს ჯგუფის მეგობარი მურმანსკის ბიოსად-
გურიდან, ზოოლოგი ვიქტორ პავლოვი. გადაწყვეტილი გვქონ-
და თებერვლის დღეების მონაწილეთათვის გამოგვეკითხა ყვე-
ლაფერი და ჩაგვეწერა.

საიდან სჯობდა ამ გამოკითხვის დაწყება? რომელი ფრთიდან?
„მარჯვნიდან“ თუ „მარცხნიდან“? რომ ამბობენ, შინაურ
მღვდელს შენდობა არა აქვსო, ჩვენც ასე მოგვივიდა: „მარც-
ხენა ფრთიდან“ არცერთმა წევრმა ახლოც კი არ მიგვიკარა.
„— მოგვშორდით, რა დროს ჩვენი დაკითხვა და ჩაწერააო?
ხომ ხედავთ, რა ცეცხლში ვიწვით, რა დროს ფილოსოფო-
სობააო?“.

ერთადერთი ადამიანი ამ ფრთაში, რომელიც აღტაცებაში მო-
იყვანა ჩვენმა წამოწყებამ, იყო კერენსკი, მაგრამ ის ხომ მი-
ნისტრიც იყო; და ამ გამოკითხვისათვის სწორედ თავის სა-
მინისტროში დაგვიბარა (უკვე სამხედროში, სადაც ის გუჩი-
კოვის ნაცვლად იჯდა); აქ მიგვიღო, გარშემორტყმულმა თავისი
ადიუტანტებით. ყველაფერზე ეტყობოდა, რომ აღტაცებული
იყო თავისი მინისტრობით. სამჯერ მიგვიყვანა თავისი მანქა-
ნით ამ დაკითხვაზე, და იმდენი ილაპარაკა, რომ ჩვენ თავ-

ბედს ვიწყევლიდით მისი ჩანაწერების გაშიფრვის და ერთ მთლიან ოქმად გადამუშავების დროს. ამ საქმემ რამდენიმე საღამო წაგვართვა.

ამას მოუსწრო დროებითი მთავრობის „გაახალგაზრდავებამ“; ე. ი. მონარქისტების წასვლამ, ახალი სამინისტროების დამატებამ და ა. შ. და ამ ხაზით ყველაფერი ისე აირია საზოგადოებრიობის ყველა წრეებში, ვისთანაც ჩვენ საქმე გვქონდა, რომ მე უკვე ველარაფერში ველარ ვერკვეოდი, და, მაგალითად, დლიურშიაც თითქმის აღარაფერი შემქონდა, რომ მერე ამოსახევი არ გამხდარიყო.

დროებითი მთავრობის გადასვლამ „მარინეს სასახლეში“ („ლურჯ ხიდთან“ და ნიკოლოზ პირველის ძეგლთან), საგრძნობლად შეცვალა, უკვე აპრილიდან, ჩვენი სასახლის ფრთების ტერიტორიაზე განაწილებული და შემოკრებილი წერტების ვითარება. ჯერ აპრილიდან, სულ მოკლე ხანში, 4 აპრილის შემდეგ, როცა ლენინმა თავისი თეზისები გამოაქვეყნა, შეიცვალა (თუ არ ვცდები, ისევ ლენინის რჩევით) სასახლის გასაველ ვესტიბიულად ქცეული სვეტებიანი დარბაზის შუა ნაწილის გამოყენება ტელეფონის ცენტრალური (№ 1—№ 2) ბუდრუგანების ირგვლივ.

აქამდე ეს უბანი სამი მიმართულებით გასაველ ქუჩად იყო ქცეული: მარჯვნივ ან მარცხნივ „ფრთებში“ და პირდაპირ — სხდომების დარბაზში. ახლა კი აქ ზოგიერთი შორეული ოთახის საცნობარო მაგიდებიც დაიდგა. სხვადასხვა („მარცხენა ფრთის“ მიმართულებების) გამოცემის მაგიდებიც. მათ შორის ჩემთვის დაუვიწყარი „სოლდატსკაია პრავდას“ პატარა მაგიდაც, რომელსაც ძალიან სწყალობდა ლენინი და მე გამაზღვდნიერა იმით, რომ ერთ მშვენიერ დღეს (ჯერ ისევ აპრილში) მიიხრბა:

— А ну-ка воинственная Грузия! Посмотрим, как Вы разберётесь в делах окопной жизни. Поручаю Вам письма солдатиков с фронта.

— Как поручаете? Для чего? — გამისკდა მე გული.

— Ай-ай-ай, გაიცინა მან: — а еще грузинка! (ვითომ, რა მშიშარა ყოფილხარო!). გამოიჩქვა, რომ საჭირო იყო სანგრებიდან ჯარისკაცთა საბჭოებისათვის ამ სასახლეში მოსუ-

ლი წერილების ყოველდღიური კითხვა, გადარჩევა და მათი „სოლდატსკაია პრავდასათვის“ რედაქტირება, ე. ი. მათი ტექსტის გადამზადება დასაბეჭდად.

როგორ გამიტაცა იმ მუშაობამ, რამდენი რამ სრულიად ახალი გადამიშალა თვალწინ! და, რაც მთავარია, თვით ლენინისაგან რამდენი ახალი სიტყვა მოგვესმენინა, მისი ხილვის და სმენის რამდენი ზედმეტი წუთი გვაჩუქა!..

პირველსავე დღეს, როცა მე მომენდო წერილების გარჩევა, რამდენიმე ათეული ცალის რაოდენობით, თავზარდაცემით აღმოვაჩინე იქ ოთხი თუ ხუთი სახიფათო ბარათი. ერთ მათგანში ასეთი რამეც კი ეწერა: Вернуть Ленина Вильгельму! და სხვა ასეთი უაზრობანი. და როცა დავინახე ჩემსკენ მომავალი ლენინი, ის ბარათები ჩემი დიდჯიბეებიანი სამუშაო კაბის მარცხენა ჯიბეში ჩავიდე, რომ მაგიდაზე მარტო გაზეთში გამოსაყენებელი ცალები დარჩენილიყო, რამდენიმე ჯგუფად დახარისხებული. დროზე მოვასწარი ამის შესრულება და ლენინიც მოვიდა, მისებურად ლაკონიური მომართვით — რა აღმოაჩინეთ საინტერესო? მე ასეთ კითხვას არ მოველოდი და დავიბენი, რადგან ლენინი ზუსტ და მკაფიო პასუხებს მოითხოვდა, აქ კი აბა რა მეთქვა ამ ბავშვურად ნაჯღაბნი ნახევრადფურცლების „მეწყერზე“, რომელთაგან ყველა გადამუშავებას მოითხოვდა? დროს მოსაგებად გადარჩეული ცალების ერთი ჯგუფი მივაწოდე, რომელშიაც მის ჩამოსვლას მიესალმებოდნენ და თავისთან ეპატიყებოდნენ: ჩვენც გვინახულე და დაგვარიგეო.

ლენინმა არც ჩემს გაწვდენილ ხელს და არც ფურცლებს მიაქცია ყურადღება, ფართო ღიმილით პირდაპირ მარცხენა ჯიბეში ჩამიყო ხელი და ჩემს მიერ გადამალული ყველა წერილი ამოიღო. მე, ცხადია, საშინლად ავღელდი და არც კი მახსოვს, რას ვიძახდი:

— Ой, это не то... это... это...

ლენინი კი ფანჯარასთან მიდგა და მხიარული სიცილით ხმამაღლა წაიკითხა მთელი ეს ლანძღვა და კრულვა; ყველა ის ფურცლები უბის ჯიბეში ჩაიწყო და მაგიდასთან დაბრუნდა. ხელი იმ უბის ჯიბეზე დაიკრა და მხიარულად მომამახა:

— Вот, где интересный материал. Эх, Вы! Вот где результаты обмана и отравления умов.

კარგი გაკვეთილი მივიღე მე იმ დღეს. და მას შემდეგ უკვე ვუსტად მოვახსენებდი მას მიღებული წერილები. შენსა და მისსა და ეს საქმეც, ფრონტიდან მოსული ფოსტის შავად გარჩევა, ჩვენმა „ისტორიულმა“ ე. ი. თავრიდის სექციამ იკისრა, ტელეფონების გაძღოლასთან ერთად. გაზეთის სარედაქციო მაგიდაც ხომ სულ ახლო იყო ჩვენს ტელებუდრუგანებთან, და, ამრიგად, ამ ახალმა სამუშაომ კიდევ მოგვიმატა ლენინთან წუთებით მაინც შეხვედრები, რადგან სასახლეში ყოფნის დროს მას ორი ადგილი ჰქონდა ამორჩეული: ძირითადი — ელენე სტასოვას მაგიდასთან, ოთახში წარწერით: «Секретариат ЦК РСДРП (б)». იქ შევიდა პირველ რიგში სასახლეში 4 აპრილს მოსული ლენინი. და ჩვენც იქ მივბრბოდით მის მოსაყვანად ტელეფონთან, ან იმის გასაგებად თუ სასახლის რომელ კუთხეში იმყოფებოდა ის იმ წუთებში.

მეორე მის დამატებით „ნავსადგურად“ კი თანდათან, ჩვენდა საბედნიეროდ, იქცა ამ ჩვენი გამაბედნიერებელი პატარა სამხედრო გაზეთის პატარა მაგიდაც, სადაც ამ სასახლეში უფრო და უფრო დიდი რაოდენობით ფრონტიდან მოზიდული, სანგრებიდან წამოსული „ოტპუსკნიკები“ ზოგჯერ დიდი ხნით „ატყვევებდნენ“ თავის მნათ იმედს, ლენინს, მის ირგვლივ მკვეთრად შემოკრებილები, როგორც მძლავრ მაგნიტზე შემოკრული რკინის ნაქლიბი...

ხედმეტია თქმა, რა დღესასწაულს შეადგენდა ჩვენი ბუდრუგანებისათვის ეს შეხვედრები ლენინისა და ჯარისკაცებს შორის, რა შესანიშნავი იყო მისი პასუხები ფრონტელთა შეკითხვების სეტყვაზე და რა კმაყოფილები ბრუნდებოდნენ ისინი უკან.

იმავე ჩვენთვის ძვირფას მაგიდაზე გადმოვიტანეთ მე და თამრომ ვიქტორ პავლოვთან ერთად, ჩვენი „გამოკითხვების სექციის“ ჩანაწერების გაშიფრვა და შეჯამება — შედარება საგაზეთო მუშაობიდან თავისუფალ საათებში, განსაკუთრებით მაშინ, როცა ტელეფონი დამის საათებშიც, გვიანობამდე სჭირდებოდა „მარცხენა ფრთას“.

მაინის პირველივე რიცხვებიდან (ძველი სტილით), აპრილის

თვესთან შედარებით, კიდევ უფრო შეიცვალა ჩვენი სახელის მარცხენა ფრთის სახეც, „მრევლიც“, ე. ი. მომსკლვლთა შემადგენლობა და განწყობილება. და ეს ახლა ბევრი „ჩვენის“ აღმასკომად“ წოდებულ კომიტეტის მუშაობის სახეს და მენტენსიობასაც დაეტყო, მას აქეთ, რაც ლენინის ჩამოსვლით აფორიაქებულმა და საბოლოოდ დაბნეულმა დროებითმა მთავრობამ, თავისი საბედისწერო მარცხის — რეგენტის მოთხოვნის ავანტიურისტული ნაბიჯის გამოსასწორებლად სოციალისტების და მოხალხოსნო წევრების მიწვევით სცადა თავისი კოლექტივის გაძლიერება და მისგან ჩამოშორებული გუჩკოვ-მილიუკოვის ნაცვლად ახალი წევრები შეიყვანა თავის შემადგენლობაში, მათ შორის, ჩხეიძის ფრთიდან „აიაქსები“, ირაკლი წერეთელი და მათვეი სკობელევი, გარემოსილნი კერენსკის კომიკური მფარველობითა და ფუსფუსით.

ირაკლი წერეთლისა და სკობელევის გარდა, ჩამოშორებული როდიჩევის და გუჩკოვ-მილიუკოვის სამეული კიდევ ოთხი სოციალისტ-მოსოციალისტო წევრით ჩაანაცვლეს, სულ, მაშასადამე, ექვსით, რაზედაც ირაკლი და სკობელევი ოხუნჯობდნენ: — За битого двух небитых даём (ჩვენ, სოციალისტებო, ჩაფლავებული მონარქისტების ნაცვლადო). ეს ოთხი ახალი წევრი, შედარებით ორი მარტის პირვანდელ თორმეტეულთან იყვნენ: ვიქტორ ჩერნოვი (ჩვენი ძველი ნაცნობი ენევიდან), პეშეხონოვი, შახოვსკოი და პერევერზევი. ეს უკანასკნელი, თუ არ ვცდები, ცოტა უფრო ადრე იყო კოოპტირებული.

ამ ცვლილებას სასტიკი იუმორით შეხვდა რამდენიმე სატირული ჟურნალი და პლუხანოვის ახალი გაზეთი „ედინსტოვ“. რომელმაც, თუ არ ვცდები, პირველმა უწოდა მათ წინა შემადგენლობას «Правительство постольку, поскольку», რაც კადეტების პარტიის საყვარელი გამოთქმა იყო; მასში კოოპტირებულ Годнев-ს კი Никуда Негоднев დაარქვა. სკობელევს „სატირიკონი“ ჩაუდგა კრიჭაში და როცა მან, გამინისტრების უმაღლვე, მომდგრალი დავიდოვა შეირთო, მეცო-სობრანო, კარმენის როლის შემსრულებელი „მუსიკალური დრამის“ თეატრში, რომელიც იმჟამად მოდაში შემოსულ „კონცერტ-მიტინგზე“ გაიცნო, ამ ჟურნალმა თავისი მორიგი ნომ-

რის თავფურცელზე მოათავსა ტორეადორად მორთული სკო-
ბელევი, რომელიც სცენაზე გულში იკრავს დავიდოვა—კარ-
მენს. ნახატს ასეთი წარწერა ჰქონდა: Каждый сам себе кон-
церт-Митинг, сказал Скобелев, женившись на Давы-
довой.

იმავე ჟურნალში დაბეჭდილი იყო იუმორისტული ფელეტონი
ირაკლი წერეთლისა და ერთი ცნობილი მოღვაწე ქალის „რო-
მანტიკულ ტრფიალზე“. იუმორისტს თემად აეღო ის ამბავი,
რომ „შეყვარებულნი“ სხვადასხვა პარტიებში ირიცხებოდნენ:
საერთოდ, ორივე ამ მეგობარს უფრო პირადი ცხოვრების ხა-
ზით იყენებდნენ თავისი იუმორისათვის, ალბათ იმიტომ, რომ
მათ სამინისტროებს (ფოსტა-ტელეგრაფის და „შრომის“) ღმის
საქმეებთან პირდაპირი დამოკიდებულება არა ჰქონდათ.
სამაგიეროდ, სასტიკად მოსდგა პრესა კერენსკის, რომელმაც
სამხედრო მინისტრობა მოისურვა და იკისრა კიდევ გუჩკოვის
შემდეგ, და სწორედ მაშინ მიაღწია თავისი პრანჭვის და მე-
დიდურობის მწვერვალს.

ა. ვ. ლუნაჩარსკი, რომელიც მაისიდან გავიცანით, მას „вез-
дущий Петрушка“-ს ეძახდა, სამივე საწინააღმდეგო დრო-
ებით კოლექტივში „შეძრომის“ გამო: მთავრობაში: ДК —
სათათბირო კომიტეტში და „მარცხენა ფრთის“ აღმასკომში;
და სთვლიდა, რომ მისი დანიშვნა სამხედრო მინისტრად „აპამ-
პულეზა“ მთელ დროებით მთავრობას და „კლოუნად“ აქ-
ცევდა მის ხელში ომის ყოფნა-არყოფნის ყველაფრის გადამ-
წყვეტ საკითხს. და ეს მართლაც ასე იყო.

კერენსკის განსაკუთრებით ვერ იტანდნენ მეზღვაურები, მატ-
როსებიდან აღმირალამდე: — მას ცირკად მიაჩნიაო სამხედრო
საქმე, რომლისთვისაც ჩვენი სისხლი იღვრებო.

ასეთი იყო მაისში ის ცვლილებები, რომელთაც დაემთხვა ჩვენი
„ისტორიის საზოგადოების“ დამტკიცება და მისი თავრიდის
სექციის ამოქმედება. ჩემი პედიანტიტუტის სტუდენტების და
თამროს თანაკურსელების დახმარებით სამ კვირაში, ე. ი. მუ-
შათა და ჯარისკაცთა დეპუტატების ყრილობის გახსნამდე (2 ივ-
ნისს) ჩვენ მოვახერხეთ ოცამდე პირის დაკითხვა. ვცდილობ-
დით ორივე ფრთა წარმოგვედგინა, თუ კიდევბზე რომიანკოს

და ჩხეიძეს დავაყენებდით, როგორც თავ-თავისი ფრთის წარ-
მომადგენლებს.

კერენსკის და მათს გარდა, დავკითხეთ შემდეგი მინიშნუ-
ბელები (გამინისტრების შემდეგ), ტერეშჩენკო, ჩვენნი (და
მთელი შენობის) უფროსი, ენგელგარტი; კერენსკის აღიუ-
ტანტები (არ ვიცი, რისთვის დაკითხულები); ვინმე ჩიკოლინი
სამხედრო კომისიიდან და სხვ.

ამ დაკითხვის დროს დაკითხულს ეძლეოდა გარანტია, რომ
50 წლის მანძილზე ეს ჩანაწერები საიდუმლოდ დაცული იქ-
ნებოდა, ამის გარეშე არავითარი მეცნიერული ფასი არ ექ-
ნებოდა მათს პასუხებს. დაკითხულის მიერ გადათვალისწიე-
ბული, თუ საჭიროდ დაინახავდა, შესწორებული და ხელმო-
წერილი ცალები მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკის სე-
იფში გადასცეს საზოგადოებისა და თავრიდის სექციის თავ-
მჯდომარეებმა, პროფესორმა პრესნიაკოვმა და ჩემმა მეუღ-
ლემ — მიხეილ პოლიქტოვმა. მე და ვიქტორ პავლოვმა კი
ჩვენთვის იმ მასალის პირები გადავიღეთ, რომ ჩვენ ოჯახში
ყოველ შემთხვევისათვის დუბლიკატები გვქონოდა (50 წლის
ვადით დალუქულები), თუ ორიგინალები რაიმე ზიანს განიც-
დიდნენ, ვინ იცის, რა მოულოდნელი შემთხვევის შედეგად.

როგორც ჩანს, ასეც მოხდა, რადგან სამი წლის წინ, ე. ი. თე-
ბერვლის რევოლუციის 50 წლისთავისათვის, ჩვენს თბილისის
მწარედ დაობლებულ ოჯახში მოვიდა შეკითხვა მოსკოვიდან:
სად იმყოფებოდა 1917 წლის თებერვლის რევოლუციის დროს
თავრიდის სასახლეში ჩატარებული დაკითხვების ოქმები, რომ-
ლებიც აღარ აღმოჩნდა თავისი ჩაბარების ადგილზე?

აღარც მიხეილი, აღარც სხვა ისტორიკოსები იმ საზოგადოები-
დან ცოცხალი აღარ იყვნენ. მე კი აქედან აბა რას გავარკვევ-
დი, თუ რა მოხდა ნევას ნაპირებზე? მე ვუპასუხე, რომ შე-
მიძლია მათ გავაცნო მართო ჩვენი ოჯახის წევრების მიერ გა-
დაღებული და დღემდე გაუხსნელი პირები იმ ოქმებისა, თუ
ეს მათ დააკმაყოფილებდათ.

ცოტა ხნის შემდეგ, მოსკოვის პედაგოგიური ინსტიტუტიდან
ჩვენს ბინაზე მოავლინეს ისტორიკოსი ედუარდ ნიკოლოზის ძე
ბურჯალოვი. მან ათი დღე იმუშავა იმ ოქმებზე და ხუთი მათ-
განი მოჰყავს თავის წიგნად გამოცემულ 400 გვერდიან სალოქ-

ტორი დისერტაციაში: Э. Н. Бурджалов. Вторая Русская
1967. ჩვენს მასალას ამ წიგნში ბურჯალოვი ასე ახსენებს
революция. Восстание в Петрограде. Изд-во „Наука“
(გვერდი — 78, 79, 128, 159, 163, 220, 291): Материалы
комиссии опросов Общества Изучения Революции 1917
года. Небольшая часть этих материалов имеется в лич-
ном фонде проф. М. А. Полневктова, хранящемся у его
вдовы (167).

ამრიგად, თუმცა ჩვენი ოქმების ორიგინალები, ე. ი. ხელთ
სუფთად გადათეთრებული და ხელმოწერილი ცალები დროე-
ბით თუ საბოლოოდ დაკარგულან, ჩვენი ასლები ერთი მკვლე-
ვარის მიერ უკვე გამოყენებულა და ზუსტად 50 წლის მან-
ძილზე საიდუმლოების დაცვით, როგორც შეპირებულნი ვი-
ყავით. ე. ბურჯალოვმა დისერტაცია წარმატებით დაიცვა, მას
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი მიენიჭა.

...ასე შემობიჯა მასმა, რომელმაც კიდევ ერთი ახალი რგოლი
დაურთო თებერვლის დღეების შედეგად ამოხეტილი მოვლე-
ნების ზღვარს: სცენაზე გამოვიდა გლებთა დეპუტატების საბ-
ჭოც, მის მიერ სახალხო სახლში მოწვეული ყრილობის სახით,
რომელშიც ლენინმა აქტიური მონაწილეობა მიიღო.

გლებთა დეპუტატების სრულიად რუსეთის პირველი ყრილო-
ბა (4—28 მაისი, ძვ. სტილით) სახალხო სახლში ჩატარდა და
მას მთელი ჩვენი ოჯახი დაესწრო; გიორგის გარდა; გლებთა
დეპუტატების ყრილობის სამდივნოს ბურჯები ქართველი ბეს-
ტუჟეველები იყვნენ — რუსუდან მიქელაძე, ელენე ლოლობე-
რიძე და ანა ჩხეიძე, თავდაპირველად ჩვენსავეთ ჯარებს შე-
შოყოლილები თავრიდის სასახლეში; მათი წყალობით მე და
თამრო აქაც შინაურებივით შევდიოდით და გამოვდიოდით.
ამიტომ, ცხადია, ყრილობაზე შესასვლელი ბილეთები ყველა-
სთვის მივიღეთ, ვინც კი მოინდომა იქ დასწრება.

დიდად საინტერესო ხასიათი მიიღო ამ ყრილობამ, იმით, რომ
22 მაისს სიტყვით გამოვიდა ლენინი. ამ სიტყვამ და „სოლ-
დატსკაია პრავდას“ № 13-ის დამატების სახით გამოქვეყნე-
ბულმა და დეპუტატებისთვის დარიგებულმა რსდმპ (ბ) რეზო-
ლუციამ მთელი ის შეკრება ააფორიაქა, ერთი-მეორის პირის-
პირ დააყენა: დელეგატები აღტაცებულნი იყვნენ, ყრილობის

პრეზიდენტი კი აღმფოთებით შეხვდა ლენინის განცხადებას, განსაკუთრებით მოხვდა ორ იქ დამსწრე „დროებით“ მენისტრს, სოფლის მეურნეობისა, შინგარევეს, და კლარკ მენსონს, რისი მინისტრი იყო, ვიქტორ ჩერნოვს; გამახსენდა მენსონს ქენევა, როცა ლენინი გამოვიდა ჩერნოვის მოხსენების კრიტიკით; ეს ჩემი იღბალი გამოდგა, რომ მაშინ ქენევაში ვიყავი და შესაძლებლობა მომეცა დავსწრებოდი იმ შეკრებას და ამ თორმეტი წლის შემდეგ ახლოვდებოდა დრო, როცა რეალურად უნდა განხორციელებულიყო ლენინის მოწოდება — „მთელი მიწა უკლებლივ უნდა გადავიდეს მთელი ხალხის საკუთრებად“... ქენევაში ეს თეორიული დავა იყო ესერების აგრარული პროგრამის წინააღმდეგ და როგორც ამ მოგონებათა დასაწყისში აღვნიშნე, ჩერნოვი მაშინაც „ორივე ბეჭზე“ დანარცხებული რჩებოდა მუდამ.

მაგრამ იქ ეს იყო ოცნება მომავალზე. აქ კი ორივე მაშინდელი დებულება ლენინისა — მთელი მიწა სოფლის მშრომელებს და მთელი ძალაუფლება თვით ხალხს (ე. ი. მუშების, ჯარისკაცთა და გლეხების დეპუტატებს), უკვე განხორციელების ზღვარზე იყო მიმდგარი, რადგან მეფესთან ერთად მთელი მისი მხლებელი მემამულე თავად-აზნაურობაც ჰკარგავდა თავის ძალას, ე. ი. უკანონოდ მისთვის ნაბოძებ უფლებებს და ათეულ ათასეულ ქცევა მიწებს ყოფილი იმპერიის თავალუწვდენელ ფართობებზე.

ნახევარ საუკუნეზე მეტია გასული იმ დაუვიწყარი დღის შემდეგ, მაგრამ გუშინდელზე უფრო ცოცხლად დღესაც ამენტო და მიღულს გულში ლენინის იმ დაუვიწყარი გამოსვლის, იმ გოლიათური იერიშის დილა სახალხო სახლის ხალხით გაჭედნილ მრავალსართულიან სასცენო დარბაზში. როდესაც მან თავისი სიტყვის შუა ნაწილში წარმოსთქვა: — С установлением свободы, с этого момента, помещичья власть должна считаться...— აქ ის წამიერად შეჩერდა, მარჯვენა ხელი ზევით ასწია, თითქოს მტერზე გამარჯვების ნიშნად, და წამოიძახა (მომეჩვენა თითქოს ახალი ხმით): свергнутой... კიდევ შეჩერდა წამიერად და ორივე ხელის მისებურად წინ წამოგდებით ასე დაამთავრა: раз и навсегда!

ოჰ, რა აღტაცების გრივალნი მოჰყვა ამ სიტყვებს... ამის გად-

მოცემა ჩემს ენას არ ძალუძს. დარბაზის ყველა სართულზე
დამსწრენი ერთდროულად წამოცვივნენ, ისმოდა გაუთავებელი
შეძახილები. თავმჯდომარემ ხელით სარეკი ბრინჯაოს
ზარის ხუფით კინალამ უშველებელი წყლით საენე გრაფინი
დამსხვრია, მაგრამ აუდიტორიის დაწყნარებას არ შეძლო
ველა. ეს კი ხომ მხოლოდ პირველი ნაწილი იყო საათნახე-
რიანი, განუმეორებელი, ისტორიაში პირველად მოვლენილი
იერიშისა, რომელსაც უნდა მოჰყოლოდა რუსეთის უნაპირო
საყანე მიწების ხალხისთვის გადაცემა, ეს იყო იერიში მტრებ-
ზე, აქვე, სულ ახლოს, პრეზიდენტი რომ იყვნენ ჩასაფრე-
ბულნი.

იმ პრეზიდენტს რომ გადავავლე თვალი, ამ ოვაციების დაუწყ-
ნარებელი ჭეჭა-ჭუხილის წუთებში, აკაკის და მამაჩემის საყ-
ვარელი თქმა გამახსენდა, პოლემიკის დროს ბრძოლაწაგებულ
მოწინააღმდეგეებს (ან ერთმანეთს) რომ მიმართავდნენ ხოლ-
მე სიცილით:

დაგიღრეჯია, მეფეო,
აღარ ვიცინის პირიო...

ასევე „აღარ უცინოდა პირი“ მთელს იმ სხდომის პრეზიდი-
უმსაც, პირველ რიგში, ორივე მინისტრს — ჩერნოვსსა და შინ-
გარევს. და მათს გვერდით აღმოჩნდა მართლაც რომ „ვეზდე-
სლუში“ (ყველგან თავის ამომყოფი) კერენსკიც, ყველაზე უფ-
რო „დაღრეჯილი“ ამ ოვაციების გამო.

მათს შემდეგ ჩემი დედ-მამა მოვძებნე თვალით. ისინი საპატიო
ადგილებზე დაესხა ავქსენტეევს. მინდოდა გამეგო — ნეტავი
როგორ იღებენ-მეთქი ამ მძფარ იერიშს? რა ბედნიერება იგრ-
ძნო ჩემმა გულმა, როცა დავინახე ფეხზე წამომდგარი მამა-
ჩემი, აშკარა იყო, იგი მთელი ჩვენი პატარა სამშობლოს გლე-
ხობის სახელით აღტაცებით, ფართო ღიმილით ტაშს უკრავდა
ორატორს, აშკარად უკვე გამარჯვებულს.

აუწერელია იმ სხდომის შთაბეჭდილება და ლენინის იმ რაღაც
განსაკუთრებული იდეური მაგნეტიზმის (არ ვიცი რა და-
ვარქვა მას) სტიქიური ზემოქმედება, რომლითაც დამთავრდა
მისი გამოსვლა, და მასთან ერთად, თვით სხდომაც. ყველა სარ-
თულიდან ჩამორბენილი დელეგატები შემოეხვივნენ ტრიბუ-

ნას. მათ შეუერთდა ჯარისკაცთა ფორმაში გამოწყობილნი. ლეგატების თუ სტუმრების მთელი კედელი; საიდანღაც განდნენ გულზეცეცხლმოკიდებული მეზღვაურებიც. ისინი მჭიდროდ შემოერთყნენ გარს ილიჩს, რომ ჩვენი მას ვხედავდით.

შინ რომ ვბრუნდებოდით, მიშა პოლიევქტოვმა სიტყვა ჩამოაგდო კერენსკის ერთ აღრინდელ გამოსვლაზე, რომელსაც მამაჩემმა იქვე ზიზღით „კლოუნადა“ უწოდა. თავის დროზე კი ჩემზეც, თამროზეც და რუსუდან მიქელაძეზეც კერენსკის იმ გამოსვლამ ძალიან მხატვრული შთაბეჭდილება მოახდინა, თუმცა ჩვენი მშობლები და მიხეილი კი, პირიქით, „საცირკონომრად“ სთვლიდნენ მთელ იმ ამბავს, მისი წმინდა თეატრალური ეპილოგით. ამიტომ ახლა მიშა პოლიევქტოვი ხელახლა დაუბრუნდა მას.

საქმე აი, რაში იყო: არც ჩამიწერია დღიურში, არც მახსოვს ხეირიანად, როდის ჩატარდა ეს საპამპულო სხდომა, მაგრამ დაახლოებით, თუ არ ვცდები, ეს მოხდა მარტის პირველ ნახევარში, მეფის გადადგომის და ჯარების ახალ მთავრობასთან გამოცხადების პერიოდში. კერენსკიმ მაშინ საოპერო მარინის თეატრის სასცენო ღარბაზში, ჯვრებით და მედლებით დაჯილდოებულ სამხედრო პირთა ყრილობა ჩაატარა, სცენიდან თვითონ მიმართა მათ მოწოდებით, დახმარებოდნენ მეფის ჩამონაცვლებელ დროებით მთავრობას, რათა მას შესძლებოდა ომის განგრძობა და ფრონტზე მებრძოლ ჯარებში სათანადო სულისკვეთების განმტკიცება.

დაისვა საკითხი, ფრონტზე, სანგრებში ჯარისკაცების გასამხნეველად და საბრძოლო სულისკვეთების გასაძლიერებლად საჩუქრები გავგზავნოთ. ვერ გავერკვიეთ, ვინ დაიწყო ეს საქმე: ვილაცამ ორკესტრზე გადებული ფიცრების ხიდით აირბინა პარტერიდან სცენაზე, ამოუდგა გვერდით კერენსკის, მოიხადა ქუდი, გადმოაბრუნა და წინადადება შემოიტანა, ვისაც რა ან რამდენიც შეგიძლიათ შესწირეთ ამ წმინდა საქმეს, რომელიც ყოველი ჩვენგანის სამოქალაქო მოვალეობას შეადგენს.

კერენსკი უცებ აინთო, უბის ჯიბიდან ჭრელი მონოგრამებით დაფარული უშველგებელი ვერცხლის პორტსიგარი ამოიღო და

თავისებურად, თეატრალურად პირველმა ჩააგდო ის გაწვეულ ქუდში, თან შესძახა: **Правильно, товарищи! Вот мой по- чин, я. и. ეს ჩემი სიფთა და საწინდარი არის, ამხანაგებო!** ამის შემდეგ ქუდის პატრონმა თავის გულმკერდიდან წმინდა გიორგის ვერცხლის ჯვარი აიგლიჯა, ქუდში ჩააგდო და დარ- ბაზში მყოფ ყველა ჯვაროსან-მედლოსან დამსწრეს მოუწო- და მიებაძათ მისი მაგალითისათვის, და აი, ამას მოჰყვა ის შე- დეგი, რაზედაც ჩვენ ახლა ვდაობდით. დარბაზის ყველა სარ- თულის ლოკებიდან და ბალკონებიდან წამოვიდა გულმკერ- დიდან აგლეჯილი ჯვრების და მედლების სეტყვა, ისროდნენ პირდაპირ სცენაზე. კერენსკი, ძალიან ეფექტურად თავჩალუ- ნული და სიმღვივით ტანდაძაბული, უძრავად იდგა სცენის წინა კიდეგსთან და მას თითქმის ათი წუთის განმავლობაში „აწვიმ- და“ ვერცხლის ჯვრები და მედლები, მის ფეხებთან ადგილი ვერცხლის ზღვად გადაქცეულიყო. მშვენიერი სურათი გამო- ვიდა, ჯერ, ვფიქრობ, არნახული ჩვენს პლანეტაზე. და ამან ილტაცებაში მოგვიყვანა თამარიც, მეც და რუსუდან მიქელა- ძეც (თუმცა მე პირადად, კერენსკის, როგორც ორატორს, ვერ ვიტანდი); მიშა, დედაჩემი და განსაკუთრებით მამა, ზიზლით შეხვდნენ ომის და სისხლისღვრის უბედურების სცენაზე ამ სახით გამოტანას და სასცენო ეფექტისათვის გამოყენებას: — ასეთ პრანჟვა-გრეხას რომელი ვაჟკაცი იკადრებდა: ეს რა იყო? წმინდა საცირო კლოუნადაო.

ამას არავინ უარყოფდა. ის ჯვრების წვიმა, ცხადრა, მარტო თვალისათვის იყო სანახაობა; ამიტომ შემდეგ ჩვენ, მაგალი- თად, არც კი გაგვხსენებია, გვეკითხა, სად და რისთვის გამო- იყენეს ვერცხლის ის სეტყვა, რომელიც პარტერიდან სცენაზე ხილით გადარბენილმა ადამიანებმა იატაკზე ცოცვით აკრიფეს და კერენსკის ჩააბარეს.

ასეთი იყო კერენსკის ეს „სარა-ბერნარიადა“.

გლენტა დეპუტატების ყრილობის შემდეგ მთელი ჩვენი ტე- ლეფონელთა რაზმიც, „ისტორიკოსთა“ თავრიდის სექციაც, დარწმუნებული დავბრუნდით სასახლეში, რომ ახლა უკვე ყველა მხრიდან ვიცნობდით ამოუწურავი ბუნების გენია- ლურ მებრძოლს „დაჩაგრულთა მამას“ — ლენინს.

სულ მალე, ჩვენი „თავრიდის“ მთელი მარცხენა ფრთა, სეე-

ტენიანი დარბაზის ჩვენს შუა ნაწილთან ერთად, ვასილის კუნძულის კადეტთა კორპუსის შენობაში გადავიდა. აქ, ვასილის კუნძულზე გამოჩნდა ჩვენს პორიზონტზე ანატოლი ლუნაჩარსკი და თითქმის პირველივე დღიდან ახლო დაგვიმეგობრდა. ის, საერთოდ, ძალიან სიმპათიური, რევოლუციით რომისტიკულად ანთებული ბუნების ადამიანი იყო. ვარდა ამისა, ლუნაჩარსკის დიდად აინტერესებდა „შოთა რუსთაველის ქვეყნის“ ძველი კულტურაც. ამან, ცხადია, ჩვენ კიდევ უფრო დაგვაახლოვა. 1925 წელს, როცა ის თბილისში ჩამოვიდა, ეს მეგობრობა კიდევ უფრო გაღრმავდა. თბილისში მას ხშირად ვხვდებოდით ჩვენს საერთო მეგობართან, დავით კანდელაკთან, რომელიც მაშინ სახალხო განათლების კომისარი იყო.

მაგრამ დავუბრუნდეთ ისევ ცხრაას ჩვიდმეტ წელს. ლენინი ლუნაჩარსკის ფრიად ახლობელ ადამიანად სთვლიდა. მას უყვარდა ლუნაჩარსკისთანა ენთუზიასტები თავისი საქმის, და ამასთან ასეთი მახვილგონებიანი პუბლიცისტები. საოცრად გულთბილი იყო მათი ურთიერთობა. თვით ლუნაჩარსკი კი ილიჩზე პირდაპირ შეყვარებული იყო. თბილისში ჩამოსვლისას, როცა პირველად შემხვდა განათლების სახალხო კომისარიატში, მაშინვე მომმართა:

— Помните, как мы с вами на Съезде с Ильичем...

და მღელვარებისაგან ვეღარ დაამთავრა... ეს იყო ლენინის გარდაცვალების მეორე წელს.

ვასილის კუნძულზე, ორი კვირა გავატარეთ, მანამდე, ვიდრე საზაფხულოდ წავიდოდით. და აქაც, იმ სხდომების ყოველი დღე, რაიმე ახალ მხარეს გვიმხედა ლენინის მართლაც რომ ამოუწურავი ბუნებიდან. მისი მთელი არსებით გაშუქება ძნელია ჩემისთანა „ფორმულების ენით“ მეტყველება-გადაგვარებული ქიმიკოსისთვის. მას ჰქონდა საოცრად გამაზვილებული ალღო ყოველი მასთან შემხვედრი ადამიანისადმი თავთავისი ნიუანსით მიდგომისა, ამ მიდგომის უფაქიზესი დაელფერებით და ამითი იმ პიროვნების ბუნების უღრმეს მხარეებში ჩაწვდომით.

განსაკუთრებით მიიქცია ამ მხრივ ჩემი ყურადღება ლენინის მიდგომის (საქმიანი ურთიერთობის, თუ საუბრის, ან ზოგჯერ უბრალო მისალმებისაც კი) უფაქიზესმა ნიუანსებმა, ზოგჯერ

კი ხაზგასმით ახალმა ფერებმაც მის დღევანდელ ურთიერთობაში იმ ადამიანებთან, რომლებიც ოდესღაც, ქენევაში, მისი თანამოაზრენი იყვნენ, ახლა კი, პარტიული ბრძოლების გზაზე, სხვადასხვა მანძილით დაშორებოდნენ მას. ან პირიქით: წინანდელზე უფრო დაახლოებოდნენ.

ლუნაჩარსკი „ეოლის ქნარს“ უწოდებდა ლენინის გულს, რაც საოცარი სიცხადით და სიზუსტით დაადასტურა ორ ივნისს გახსნილმა მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების ყრილობამ, რომელსაც არ დაკლებია არცერთი იმ დროის თვალსაჩინო პოლიტიკური მოღვაწე, რა პოზიციაზეც უნდა მდგარიყო იგი.

მაგრამ თუ ასე განვაგრძე, ამ მოგონებას ბოლო აღარ ექნება. დროა დავამთავრო, რადგან ჩემი ზემოთგადმოცემული, გულიდან ამოუშლელი შთაბეჭდილებების შემდეგ დანარჩენი ფაქტები წვრილმანად მეჩვენებიან.

ამიტომ ამაზე ვწყვეტ ჩემს გადაფრენას ნახევარსაუკუნის მიღმა, ნევას ნაპირებზე. დაილოცოს თავრიდის სასახლე, მისი ტელეფონებით და ჯარისკაცთა გაზეთის პატარა მაგიდით, რომელთაც ასე ახლო გვაჩვენეს ლენინი და დაილოცოს ვოლგას ნაპირები, რომლებმაც ის გააჩინეს...

დასასრულ, მინდა მადლობა მოვახსენო ჟურნალ „დროშის“ რედაქციის მუშაკს, მწერალ ალექსანდრე სიგუას, რომელმაც გამაბედვინა და განმახორციელებინა ამ მოგონებების დაწერა. ის რომ „სულთამხუთავად“ თავზე არ დამდგომოდა, ეს ჩემი ჩანაწერები მზის სინათლეს ვერ იხილავდა.

სარჩევნი

წინასიტყვაობა 3
ქენევა 5
წევას ნაპირებზე 15
ლენინის ჩამოსვლა 32

რედაქტორი გ. ნატროშვილი
გამომცემლობის რედაქტორი მ. ვარდოსანიძე
ტექნიკური რედაქტორი ი. რევია

გადაეცა ასაწეობად 25/III-70
ხელმოწერილია დასაბეჭდად 26/V-70
ქალაქის ზომა 84×108¹/₃₂
ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 2
პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 3,36
სააღრიცხვო-სავაჭომცემლო თაბახი 2,75
შეკვ. № 1007. ტირაჟი 25.000. უე 04881.

ფასი 15 კაპ.

საქ. კვ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა
თბილისი, ლენინის ქ. № 14

Типография издательства ЦК КП Грузии
Тбилиси, ул. Ленина, 14.



საქართველოს
ხალხთა ეროვნული
ბიბლიოთეკა